კვირეული „ვერსია“, „ვერსიის“ ფრთი

ვერსია

№12 (1653) 5 — 11 აპრილი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რატომ არ ეშინიათ ნარკორეალიზატორებს დაჭერის

სქემა – როგორ კეთდება დიდი ფული ნარკოტიკების ვაჭრობით

სისხლიანი 9 აპრილის 34-წლიანი საიდუმლო

რა აკავშირებს პუტინს 9 აპრილთან, ვინ ჩამოფრინდა ტრაგედიის წინა ღამეს საიდუმლო რეისით და როგორ დაიგეგმა თბილისის ტრაგედია

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

შეუერთდებიან თუ არა „ლეიბორისტები“ 9 აპრილს, ენმ-სგან დაანონსებულ საპროტესტო აქციას

გიორგი გუგავა: „მთლიანად დამოკიდებულები ვართ შემოწირულობებზე, რათა ოფისის შენახვის მინიმალური ხარჯები დავფაროთ“

ვინ იყო და ვის აძლევდა ხელს ვლადლენ ტატარსკის მკვლელობა

იქნება თუ არა შემდეგი პრიგოჟინი – რა ვერსიები აქვთ ანალიტიკოსებს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 58 პირი დააკავა, მათ შორის, 31 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის, კახეთის პოლიციისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 58 პირი დააკავეს, მათ შორის, 31 ნარკორეალიზატორია.

ნარკოტიკების უკანონო გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 2003 წელს დაბადებული ლ.შ., 1997 წელს დაბადებული დ.ა., 1994 წელს დაბადებული ლ.მ., 1997 წელს დაბადებული ბ.ა., 1993 წელს დაბადებული დ.კ., 2000 წელს დაბადებული დ.გ., 1964 წელს დაბადებული ე.ნ., 1975 წელს დაბადებული ვ.ლ., 1999 წელს დაბადებული ლ.ჩ., 2000 წელს დაბადებული დ.ა., 2000 წელს დაბადებული ბ.ც., 1997 წელს დაბადებული ვ.ე., 1997 წელს დაბადებული ა.კ., 1996 წელს დაბადებული მ.ო., 1997 წელს დაბადებული პ.ბ., 1989 წელს დაბადებული მ. ს., 1983 წელს დაბადებული გ.ა., 1994 წელს დაბადებული ჰ. ო., 1985 წელს დაბადებული ნ.ა., 1982 წელს დაბადებული რ.უ., 1993 წელს დაბადებული ს.ს., 1988 წელს დაბადებული ა.მ., 1975 წელს დაბადებული ზ.ე., 1971 წელს დაბადებული ი.ბ., 1964 წელს დაბადებული დ.კ., 1970 წელს დაბადებული ზ.ჩ., 1986 წელს დაბადებული ზ.ი., 1974 წელს დაბადებული ნ.გ., 1985 წელს დაბადებული ე.ა., 1973 წელს დაბადებული გ.ბ. და 1996 წელს დაბადებული ჯ.ჯ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირებისა და ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1996 წელს დაბადებული ზ.ზ., 1981 წელს დაბადებული ხ.გ., 1987 წელს დაბადებული გ.ჭ., 1977 წელს დაბადებული გ.ბ., 1978 წელს დაბადებული ე.მ., 1999 წელს დაბადებული ა.მ., 1997 წელს დაბადებული ა.ქ., 2000 წელს დაბადებული თ.მ., 1998 წელს დაბადებული გ.ხ., 1997 წელს დაბადებული ო.ა., 1964 წელს დაბადებული ზ.ა., 1956 წელს დაბადებული ტ.ა., 1995 წელს დაბადებული ხ.გ., 1967 წელს დაბადებული ნ.ვ., 1993 წელს დაბადებული ხ.მ., 1998 წელს დაბადებული ა.ჩ., 1997 წელს დაბადებული თ. ც., 1991 წელს დაბადებული ი.ჭ., 1984 წელს დაბადებული ა.ა., 1962 წელს დაბადებული ტ.ა., 1971 წელს დაბადებული ე.კ., 1970 წელს დაბადებული კ.შ., 1997 წელს დაბადებული ს.უ., 1981 წელს დაბადებული მ.ა., 1984 წელს დაბადებული ი.დ., 2002 წელს დაბადებული ა.ზ. და 1968 წელს დაბადებული შ.მ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართული, კერძოდ, ისინი სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციებზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, ფოტოებს უღებდნენ, რასაც შემდგომ შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებული სხვა პირების პირადი, ავტომანქანების, სახლებისა და დროებითი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“, „მდმა“ „ალფა-პვპ“, „მეფედრონი“, „პრეგაბალინი“, ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკი, „მეტამფეტამინი“, „ფენტანილი“, „ტრამადოლი“, „პსილოცინი“, „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე – „კანაფი“.

ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული, ასევე, მცირე ზომის სასწორები და წებოვანი ლენტები.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობისა და გასაღების, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 262-ე, 261-ე, 263-ე, 265-ე, 19-260-ე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

სისხლიანი 9 აპრილის 34-წლიანი საიდუმლო

ვანო პავლიაშვილი

... იმ ღამეს მთელი სოფელი ქორწილში იყო და... ზუსტად მაშინ, როცა საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში ხალხი ლხინს მისცემოდა, რუსთაველის გამზირზე რუსი სამხედროები გამოჩნდნენ...

ვიღაცამ სასხვათაშორისოდ თქვა, თბილისში უბედურება მოხდაო, მაგრამ ცეკვა-თამაში გაგრძელდა.

ისე, მომიტინგეებიც მოძალადეებს სიმღერით შეხვდნენ...

დილით რუსთაველის გამზირი ნაომარ ველს ჰგავდა...

დილით საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, ჩემს სოფელში ანუ იქ, სადანაც 1921 წელს, „წითლები“ პირველ რესპუბლიკას თავს დაესხნენ, ხალხი ქუჩაში იდგა და თბილისში მომხდარის შესახებ ბჭობდა...

მაშინ 12-13 წლის ვიყავი და რაღაცებს ხეირიანად ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ვაცნობიერებდი, რომ ყველაფერმა ამან მხოლოდ ჩემი კი არა, ჩემი სამშობლოს ბედისწერა შეცვალა!

მას მერე 34 წელი გავიდა, 34 გრძელი და ქარტეხილებით სავსე წელიწადი, მაგრამ დღემდე დანამდვილებით არ ვიცით, მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევის ბრძანება ვინ გასცა.

დიახ, სამ ათეულ წელზე მეტია, 22 წლის აზა ადამიას, 16 წლის ნათია ბაშალეიშვილის, 16 წლის თამრიკო ჭოველიძის, 15 წლის ეკა ბეჟანიშვილის, 23 წლის ნატო გიორგაძის, 28 წლის თამუნა დოლიძის, 70 წლის თინა ენუქიძის, 25 წლის ნინო თოიძის, 61 წლის ზაირა კიკვიძის, 33 წლის მანანა ლოლაძის, 50 წლის თამარ მამულიშვილის, ვენერა მეტრეველის, 22 წლის მამუკა ნოზაძის, 41 წლის ნანა სამარგულიანის, 35 წლის შალვა ქვასროლიაშვილის, 31 წლის მარინა ჭყონია-სამარგულიანის, 25 წლის ელისო ჭიპაშვილის, 40 წლის ნოდარ ჯანგირაშვილის, 43 წლის მზია ჯინჭარაძის, 23 წლის მანანა მელქაძისა და 25 წლის გია ქარსელაძის სულები ზეციური საქართველოდან კითხულობენ:

რატომ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილიცაა და რთულიც, თუმცა „ვერსია“ შეეცდება, 1989 წლის 9 აპრილის X-ფაილი ყოველგვარი ბელეტრისტიკისა და ლირიკული გადახვევების გარეშე შექმნას.

საერთოდ, ამ თემაზე ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა და, შესაბამისად, თითქოს, ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ზოგიერთი დეტალის გახსენება არ გვაწყენს, მით უმეტეს, დღეს, როცა მოდერნიზებული რუსული იმპერია ჩვენს შთანთქმას ისევ ცდილობს.

ამასობაში, გორბაჩოვ-როდიონოვის სულიერ-ფიზიკური მემკვიდრე, ვლადიმერ ვლადიმერის ძე, საბჭოთა კავშირის დაშლას მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ გეოსტრატეგიულ შეცდომად მიიჩნევს, მის ქართველ ფანებსაც გული ისევ „ერთმორწმუნე დიდი ძმისკენ“ მიუწევთ და ჩუმ-ჩუმად, 9 აპრილის ტრაგედიასაც ამართლებენ.

ჩვენში დარჩეს და, მხოლოდ ახლა კი არა, ისეთი ქართველები, რომლებიც მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას დაჟინებით ითხოვდნენ, თავის დროზეც იყვნენ. ახლა, იმის თქმა, რომ ყველაფერი მათი ბრალია, ცხადია, არ შეიძლება და ვერც იმის მტკიცებას დავიწყებთ, მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ნაწილს „მწვანე შუქი“ რომ არ აენთო, კრემლი რუსთაველზე სასაკლაოს ვერ მოაწყობდაო, მაგრამ ფაქტია: 9 აპრილის „ბართლომეს ღამის“ საბაბი, სწორედ იმ ქართველების დაჟინებული მოთხოვნა გახდა, რომლებიც კომუნისტურ სივრცეში თავს ლაღად გრძნობდნენ, დამოუკიდებელ საქართველოში კი საკუთარი მოამავალი ბუნდოვნად ესახებოდათ, თუმცა მერე, წლები რომ გავა, ეს „ტიპები“, ღამის, დემოკრატიის მედროშეებად მოგვევლინებიან.

ამაზე დიდი ბედის ირონია რაღა უნდა იყოს?!

საიდუმლო რეისი

მარიკა კახაძე ჩემი უფროსი მეგობარია, კარგი ჟურნალისტი და პუბლიცისტი. რამდენიმე წლის წინ, როცა 9 აპრილზე ვსაუბრობდით, მარიკამ მითხრა:

„1989 წლის 9 აპრილს, მთელი საქართველო რუსთაველზე იდგა (ხაზს ვუსვამ – მთელი საქართველო). ხალხს თავისი სამშობლო უყვარდა, უყვარდა გულანთებულად და არ ეშინოდა თოფიანი, ნიჩბიანი, ტანკებიანი, ავტომატებიანი, ბომბებიანი რუსების. შეიარაღებული რუსის ჯარი მაშინ საქართველოში იდგა, რადგან სოციალისტური საქართველო კომუნისტური რუსული იმპერიის ნაწილი იყო. რუსის ჯარი მშვიდობიანი დემონსტრანტების დასარბევად ემზადებოდა და ეს ყველამ იცოდა, მაგრამ „ვირთხების“ გარდა, არავის ეშინოდა – ვირთხები თავიანთ ხვრელებში იყვნენ!

ბევრი შემედავება, მთელი საქართველო არ იდგა რუსთაველზეო... მათ საპასუხოდ ვიტყვი – იდგა ასიათასობით ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ, რუსებიც, სომხებიც, ქურთებიც და ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენელიც (ბევრი არა, მაგრამ იყვნენ) და ამას თამამად ვამბობ, რადგან მეც იქ ვიდექი და ვიცი. ვიმეორებ: იქ იდგა მთელი საქართველო! იდგნენ პატრიოტები!

და მხოლოდ ფიზიკურ დგომაზე არაა ლაპარაკი. რუსთაველის პროსპექტი და მაშინდელი ლენინის მოედანი ყველას ვერ დაიტევდა და ისინი, რომლებმაც მოსვლა ვერ შეძლეს, სულით, გულით და სიყვარულით ჩვენს გვერდით იყვნენ. სწორედ ასეთმა შემართებამ და დამოუკიდებლობის დაუძლეველმა სურვილმა გააერთიანა ერი დამპყრობელის წინააღმდეგ“.

რა აკავშირებს პუტინს 9 აპრილთან, ვინ ჩამოფრინდა ტრაგედიის წინა ღამეს საიდუმლო რეისით და როგორ დაიგეგმა თბილისის ტრაგედია

გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ 9 აპრილის ტრაგედია დაედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის დაშლას. ეს შეფასება, შესაძლოა, ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუკი ყველაფერს ავწონ-დავწონით, მივხვდებით, რომ დიახ, 9 აპრილით, წითელმა გველეშაპმა ერთი თავი დაკარგა, რასაც სხვა „მოძმე რესპუბლიკების“ გამოფხიზლებაც მოჰყვა ანუ 1989 წლის თბილისის ტრაგედია იმის საბაბი გახდა, რომ კრემლის წინააღმდეგ ხმა აზერბაიჯანელებსაც ამოეღოთ და ბალტიისპირელებსაც. შესაბამისად, 9 აპრილის სცენარით, სისხლიანი სპექტაკლი 1990 წლის 20 იანვარს, ბაქოში დაიდგა; 1991 წლის 13 იანვარს კი – ვილნიუსში. წითელარმიელებმა აზერბაიჯანში 107 ადამიანი მოკლეს, ლიტვაში – 14.

ვის კისერზეა ბაქოსა და ვილნიუსის ტრაგედიები? – ამას შესახებ მსჯელობა შორს წაგიყვანს. აი, სისხლიანი 9 აპრილის მთავარ არქიტექტორად კი საქართველოს ცეკა-ს მაშინდელი პირველი მდივანი, ჯუმბერ პატიაშვილი, აწ განსვენებულ ედუარდ შევარდნაძეს მიიჩნევდა, რომელსაც იმხანად, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

მეტიც, პატიაშვილის ეჭვით, თვითმფრინავში, რომელიც 1989 წლის 8 აპრილს, თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან დაეშვა, შევარდნაძე იჯდა, თუმცა საქართველოს მეორე პრეზიდენტი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდა.

რეალურად, რა მოხდა 1989 წლის 8 აპრილს, თბილისის აეროპორტში? – ამ თემაზე ამომწურავ ინფორმაციას, ალბათ, უშიშროების კომიტეტის მაშინდელი ხელმღვანელი, გივი გუმბარიძე ფლობს, რომელიც პატიაშვილის ვერსიით, თვითმფრინავში ავიდა...

სხვათა შორის, 9 აპრილის შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილის პოსტი გივი გუმბარიძემ დაიკავა. არადა, წესით, თბილისში მიმდინარე მოვლენებზე პასუხი მასაც უნდა ეგო, რადგან ოფიციალური ინფორმაციით, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი მომიტინგეები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ და ხელისუფლებამ მიტინგის დაშლის გადაწყვეტილებაც სწორედ ამიტომ მიიღო...

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდება, სადაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, მრგვალი მაგიდა გაიმარჯვებს.

მერე, წლები რომ გავა, ერთ-ერთ ინტერვიუში, საბჭოთა საქართველოს შს უკანასკნელი მინისტრი შოთა გორგოძე იტყვის, პარტიული ელიტა არჩევნების მოსაგებად არაფერს აკეთებდაო.

თუკი ასეა, მაშასადამე, გივი გუმბარიძემ კომუნისტების დამარცხებას ხელი შეუწყო? – ეს მხოლოდ პოლიტიკურმა ღმერთებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა იციან...

ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლისთანავე, გუმბარიძე მოსკოვში წავა და, გავრცელებული ინფორმაციით, მას შემდეგ საქართველოში აღარაც ჩამოვა...

მოკლედ, 9 აპრილის ტრაგედიის საიდუმლოს ერთ-ერთი გასაღები, ალბათ, სწორედ გივი გუმბარიძესთან ინახება...

სისხლიანი ინტრიგები

ოფიციალური მონაცემებით, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოქვეყნდა, 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე 21 ადამიანი ჭყლეტვის შედეგად დაიღუპა. კომუნისტებმა არც ის აღიარეს, რომ საბჭოთა არმიის ე.წ. „მერვე პოლკმა“, უიარაღო ქართველების წინააღმდეგ, საბრძოლო ნიჩბებთან ერთად, „სი-ეს-ი“ და სხვა მომწავლელი გაზიც გამოიყენს. „სი-ეს-ი“ არც 16 წლის ნათია ბაშალეიშვილის ნეშტის ექსპერტიზის დასკვნაშია ნახსენები, თუმცა მისი გარდაცვალების მიზეზად ტოქსიკური მოწამვლა დასახელდა...

ნათია ბაშალეიშვილი, 17 აპრილს, ე.წ. „არამიანცის“ საავადმყოფოში გარდაიცვალა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქრის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გარდაცვალების წინა დღეს, გოგონა მონათლეს. მართალია, ამ დროს ნათია უგონოდ იყო, მაგრამ როცა მოძღვარს ნათლობის რიტუალის შესრულება დაუწყვია, წარბები შეურხევია...

ნათია ბაშალეიშვილი 1989 წლის 23 აპრილს, ბზობას, ვერის სასაფლაოზე დაასაფლავეს... 1989 წლის 9 აპრილს, ნათიას თანაკლასელი თამრიკო ჭოველიძეც დაიღუპა. ნათია და თამრიკო მეგობრები იყვნენ...

... ვერსიას, რომ 9 აპრილის ტრაგედიის საბაბი ვიწრო პიროვნული ინტრიგები გახდა, ცხადია, არსებობის უფლება აქვს ანუ გამორიცხული არაა, რომ პატიაშვილ-შევარდნაძის დაპირისპირება კრემლმა საქართველოს დასასჯელად გამოიყენა. საერთოდ, ყოფილი დისიდენტები ამბობენ, რომ მოსკოვს ყველაზე მეტად საქართველოს აბუნტების ეშინოდა, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დაწყებული მოვლენები სხვა რესპუბლიკებში დომინოს პრინციპით ვრცელდებოდა, რაც საშიშროებას ქმნიდა, რომ საბჭოთა იმპერიას საძირკველი შერყეოდა.

კრემლის ეს შიში უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა იყო, სადაც დისიდენტური და, შესაბამისად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იშვა, მოძრაობა, რომელიც ტოტალიტარულ საბჭოთა სივრცეს თავისუფლების მაგიად მოედება და ასობით, ათასობითა თუ მილიარდობით ადამიანს ბორკილების დამსხვრევისკენ უბიძგებს.

საერთოდ, საქართველოში აქტიური ანტისაბჭოთა მოძრაობა 1988 წლიდან დაიწყო. საბჭოთა მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის კონფლიქტი 1989 წლის 18 მარტს, ე.წ. ლიხნის ასამბლეის ჩატარების შემდეგ გამწვავდა, სადაც რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოსაგან გამოყოფა და 1921-1931 წლების რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა, რომელიც ბოლშევიკებმა აფხაზეთს მიანიჭეს.

„აფხაზები ყველაფერ ქართულს წვავდნენ და ანადგურებდნენ. მახსოვს, რუსთაველის ძეგლიც ჩამოაგდეს და უროებს ურტყამდნენ, რომ ნაფშვენებად ექციათ. ამის საპასუხოდ, ეროვნულმა ძალებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც აფხაზურ სეპარატიზმს აღვივებდა, მიტინგები და საპროტესტო აქციები მოაწყვეს.

საპროტესტო აქციებმა პიკს 1989 წლის 4 აპრილს მიაღწია. მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს. საქართველოს კომპარტიამ კი კრემლს დამხმარე ძალის გამოგზავნა სთხოვა და... როდიონოვიც საქმეს შეუდგა.

დასასრული მე-4 გვერდზე

სისხლიანი 9 აპრილის 34-წლიანი საიდუმლო

მე-3 გვერდიდან

არ დამავიწყდება როდიონოვის გამოსვლები ტელევიზიით – ზიზღი, სიძულვილი, აგრესიული ცინიზმი ქართველების მიმართ და მუქარა, რომ დესტრუქციული ძალები (ეროვნულ მოძრაობა დესტრუქციულ ძალად წარმოაჩინა) სასტიკად დაისჯებოდნენ.

გენერლის მუქარის მიუხედავად, 9 აპრილს, ღამით, კიდევ უფრო მეტი ადამიანი შეიკრიბა რუსთაველის პროსპექტზე.

ვიდექით სანთლებით ხელში...

უსინათლო მომღერლები ჩონგურზე „შავლეგოს“ მღეროდნენ...

დრო და დრო, ლიდერები გამოდიოდნენ სიტყვით, ხალხს ამხნევებდნენ: „გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ძლიერ საქართველოს!“

ამ ფრაზას ტაშით ვხვდებოდით და ყველანი ერთად, მრავალი ათასი ადამიანი, ვიმეორებდით: „გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ძლიერ საქართველოს!“

იყო ამ სიტყვებში ისეთი მაგია, რომელიც ჯადოსავით მოქმედებდა.

ჩვენ, ყველანი საქართველოს სიყვარულით ვიყავით მოჯადოებულნი, თავს უძლეველებად ვგრძნობდით და იოტისოდენა შიშიც კი არ გვქონდა.

როდიონოვის არმია უკვე სოლოლაკში, ქუჩებში იყო განლაგებული და გენერლის ბრძანებას ელოდა.

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა დემონსტრანტებში და ლიდერებმაც გამოაცხადეს. ამ ცნობას ხალხი შეძახილით – „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ – შეხვდა.

უსინათლო მომღერლებმა კვლავ „შავლეგო“ შემოსძახეს და ხალხიც აჰყვა. სიმღერას ცეკვა „ქართული“ მოჰყვა, დოლის ხმა და „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ გუგუნებდა რუსთაველზე.

ფსიქოლოგები ასეთ ვითარებას „კოლექტიურ არაცნობიერს“, „ბრბოს ფსიქოლოგიასა“ და „ადრენალინის დიდი დოზით აწევას“ უწოდებენ. ასეთი შეფასებების მოსმენა სასიამოვნო არაა, მით უმეტეს მაშინ, როცა მაღალი იდეალებისთვის იბრძვი და თავგანწირვისთვისაც მზად ხარ, მაგრამ შესაძლოა, ეს ასეცაა, რადგან როცა პატრიარქი მოვიდა და ხალხს დაშლა სთხოვა, ხალხი არ დაიშალა.

საფრთხე რეალური იყო, მაგრამ გინდ ცნობიერი უწოდე და გინდ – არაცნობიერი, იმ ღამეს, ყველა იქ მდგომი გმირი იყო.

კარგად მახსოვს ის მომენტი, ის რამდენიმე წუთი სრული სიჩუმისა, ვიდრე ტანკები გამოჩნდებოდნენ.

უცებ, ყველა ერთდროულად გაჩუმდა, სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა, თითქოს, ყველანი გავქვავდით და...

უცნაური გუგუნი ფეხქვეშ – თითქოს, მიწა ატორტმანდა. დილის 04.00 საათზე, რუსთაველის პროსპექტს რუსული ტანკები შეესივნენ. ჩვენ შევმჭიდროვდით ორივე მხარეს, რომ უფრო ვრცელი კორიდორი ყოფილიყო ტანკების ჩასავლელად. მოდიოდნენ ტანკები და თავახდილ „ლუკებში“ ავტომატმომარჯვებული ჩაფხუტიანი ჯარისკაცები ჩანდნენ წელამდე. ტანკებს, ორივე მხარეს, ავტომატგადაკიდებული და ნიჩბებმომარჯვებული ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ.

ეს სურათი არასოდეს დამავიწყდება: ჩვენ ვიდექით თავაწეულები, ამაყები და არ გვეშინოდა!“ – იხსენებს ჟურნალისტი მარიკა კახაძე.

როცა 9 აპრილზე ვლაპარაკობთ, ცხადია, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელმა მილიციამ, მიუხედავად იმისა, რომ წითელ მუნდირს ატარებდა, არნახული გმირობა გამოიჩინა. თვითმხილველთა თქმით, მილიციის თანაშრომლებს რომ არ ემარჯვათ, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

იმ ღამეს ქართველმა ქალებმაც იმარჯვეს – იმის იმედით, რომ ალკოჰოლით გალეშილი სისხლმოწყურებული რუსი ჯარისკაცები დაინდობდნენ, ქართველი დედები, ცოლები და დები ბრძოლის წინა ხაზზე გავიდნენ და თავიანთ ქმრებს, შვილებსა და ძმებს გადაეფარნენ, მაგრამ რუსულმა ჩექმამ ქალებიც არ დაინდო...

34 წლის წინ, 9 აპრილი საქართველოში სისხლისფრად გათენდა და... მას შემდეგ, სისხლისფერი დღის სიმბოლოდ სიმღერა „ტიტები“ ითვლება, რომელიც საბჭოთა საქართველოს ესტრადის ვარსკვლავებმა შეასრულეს...

სხვათა შორის, 1989 წლის აპრილში, რუსთაველის გამზირზე აქციები ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით, ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები აქციის დაშლას ცდილობდნენ, თუმცა არაფერი გამოუვიდათ, რადგან ვითარებას ვეღარ აკონტროლებდნენ – ტრაგედიის წინ, გადაწყვეტილებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა, უფრო რადიკალურად განწყობილი ლიდერები იღებდნენ. მათ აფხაზების საკითხი გვერდზე გადაწიეს და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა გამოიტანეს.

„აფხაზეთის პრობლემა საქართველოთვის არ არსებობს, აფხაზეთი იყო, არის და დარჩება საქართველოს განუყოფელ ნაწილად და მასზე კონტროლს განახორციელებს ქართველი ერი“, – აცხადებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გიორგი ჭანტურია.

„აფხაზი ერი არ არსებობს“, – აღნიშნავდა ზვიად გამსახურდიაც.

9 აპრილის ტარგედიიდან 20 წლის შემდეგ, თამარ ჩხეიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას იტყვის:

„1989 წლის 9 აპრილმა კიდევ უფრო გააშიშვლა საბჭოთა იმპერია, დროის მცირე მონკავეთით დააჩქარა პროცესები. სამაგიეროდ, საქართველო ააცდინა იმ შედარებით კომპრომისულ და პრაგმატულ გზას, რა გზითაც წავიდნენ და განვითარდნენ ბალტიისპირა ქვეყნები. 9 აპრილის ტრაგედიამ მოაქცია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში რადიკალური ფრთა... 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას სხვა შედეგიც ჰქონდა – იმავე აფხაზების იმ ნაწილს, რომლებიც რუსეთისგან იმართებოდნენ, გაუმძაფრდათ დაუსჯელობის სინდრომი. მათ დაინახეს, რომ ის საზოგადოება, რომელიც გამოვიდა აფხაზეთის ქართველების უფლებების დასაცავად, თავად დაისაჯა, თავად იქნა დასჯილი“.

ერთმა ისტორიკოსმა თქვა: „ხალხი, რომელიც ივიწყებს თავის წარსულს, განწირულია მისი ხელმეორედ განცდისთვისო, ეს წიგნი დავწერე იმისთვის, რომ აღარასდროს განვიცადოთ ახალი სისხლიანი კვირა“, – ამ სიტყვებს მოგვიანებით, სანკტ-პეტერბურგის პირველი მერი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ანატოლი სობჩაკი იტყვის, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობდა და რომელიც ამ თემაზე დაწერილ წიგნს ასე დაასათაურებს: „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა.“

ამონარიდი ინტერნეტპორტალ geoindependence.net-ზე გამოქვეყნებული სტატიიდან:

„1989 წლის 7 აპრილს, საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა, სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა სთხოვა თბილისში, წესრიგის აღსადგენად. შემდეგ კი, თბილისში, მშვიდობიანი დემონსტრანტების და მოშიმშილეების უსასტიკესი მეთოდებით დარბევის დეტალების შესწავლას სსრკ სახალხო დეპუტატების საგამოძიებო კომისია შეუდგა, ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით. ამ კომისიის დასკვნა მძიმე აღმოჩნდა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის. კომისიის თავმჯდომარეს საბჭოთა არმიის სახელის შებღალვაში დასდეს ბრალი. დასკვნაში ითქვა, რომ თბილისში მიმდინარე მიტინგის დაშლის გეგმის მომზადებისას და ამავე გეგმის განხორციელებისას, ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და კანონდარღვევებს საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან.

საინტერესო დეტალებს იხსენებს ანატოლი სობჩაკი წიგნში „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა“. ის მიუთითებს 1989 წლის აპრილის უმძიმესი გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირებს: ჯუმბერ პატიაშვილი, ბორის ნიკოლსკი (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი 1984-89 წლებში), კონსტანტინ კოჩეტოვი (1989 წელს სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე), იგორ როდიონოვი (1989 წელს სსრკ ჯარების ამიერკავკასიის გარნიზონის მეთაური).

ხსენებულების გარდა, სობჩაკი ასახელებს 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიების მზადებაში მონაწილე სხვა პირებსაც: ზურაბ ჩხეიძე (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ოთარ ჩერქეზია (უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე)...

„ეს პირები წარმოადგენდნენ „კოლექტიურ“ ხელისუფლებას, ისინი ყოველთვის ზარ-ზეიმით უჭერდნენ მხარს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს“, – წერს ანატოლი სობჩაკი.

წიგნში „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა“ აღნიშნულია, რომ თავიდან, იგორ როდიონოვი წინააღმდეგი იყო თბილისში, დემონსტრაციის დაშლის ღონისძიებაში სამხედრო ძალის გამოყენებისა:

„როდიონოვს არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რაზე მიდიოდა, ამიტომ სავარაუდოა, რომ პროცესში მისი ჩართვის მიზეზი იმდენად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ, მაგალითად, სსრკ თავდაცვის მინისტრის ბრძანება, ანდაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის ბრძანება... მაგრამ, ყველაფერი ეს მარჩიელობაა, არც როდიონოვმა, არც გენერალმა კოჩეტოვმა, არც სსრკ თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა, არც ჩებრიკოვმა (1989-ში სსრკ უშიშროების ხელმძღვანელი) არ აღიარეს მსგავსი ბრძანების არსებობა. ამიტომ, მომხდარი გენერალ როდიონოვის სინდისზე რჩება“.

საინტერესოა წიგნის ის ნაწილიც, რომელშიც ავტორი საქართველოს სსრ უშიშროების მაშინდელი ხელმძღვანელის და 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზე ჯუმბერ პატიაშვილის შემცვლელის, გივი გუმბარიძის შესახებ წერს:

„გუმბარიძე ვერ შეძლებდა, მონაწილეობა არ მიეღო 1989 წლის 9 აპრილის ოპერაციის წინა თათბირებში. უცნაური ისაა, რომ ამ თათბირებში მონაწილეებს არ შეეძლოთ რამეს თქმა იმის შესახებ, როგორი იყო გივი გუმბარიძის პოზიცია. გადაწყვეტილებების მიღების მომენტში, ის სადღაც გადიოდა, ან ჩუმად იყო. ჩვენ დავადგინეთ, რომ გადამწყვეტ თათბირზე, რომელიც ვიწრო წრეში გაიმართა (პატიაშვილი, ნიკოლსკი, კოჩეტოვი, როდიონოვი), ის მიწვეული არ ყოფილა“.

ანატოლი სობჩაკი 2000 წლის თებერვალში, გულის შეტევით გარდაიცვალა. არსებობს მოსაზრება, რომ მის სიკვდილში რუსული უშიშროების ხელი ურევია, რაც შესაძლოა, ლოგიკას მოკლებულიც არაა, რამეთუ ანატოლი სობჩაკი, პრაქტიკულად, ერთადერთი ყოფილი კომუნისტი გახლდათ, რომელიც კომპარტიის გასამართლების ინიციატივით გამოდიოდა. 2015 წლის 22 თებერვალს, ქართული საინფორმაციო სააგენტო „თაიმერი“ წერილს აქვეყნებს, რომელშიც ნათქვამია:

„ვლადიმერ პუტინმა და დიმიტრი მედვედევმა პოლიტიკურ კარიერა სობჩაკთან სამსახურში დაიწყეს და მისი წყალობით გახდნენ რუსეთის ლიდერები... სობჩაკი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქალაქ ლენინგრადის (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) პირველი პირი იყო და პუტინის აღზევებაც რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებაში, სწორედ ლენინგრადიდან, სობჩაკის გუნდიდან მოხდა, სადაც ის 1990 წელს მივიდა, როგორც ნაკლებადცნობილი, „კა გე ბე“-ს გადამდგარი პოლკოვნიკი, რომელიც ლენინგრადის უნივერსიტეტის ლექტორის თანაშემწედ მუშაობდა. 1996 წელს, ლენინგრადის ოლქში, გუბერნატორობისათვის გამართულ არჩევნებში, ვლადიმერ პუტინი ანატოლი სობჩაკის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო... ხოლო უფრო ადრე, 1989 წელს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის დროს, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი და დღევანდელი პრემიერი დიმიტრი მედვედევი, სობჩაკის საარჩევნო შტაბის იმ დონის აქტივისტები იყვნენ, რომ არჩევნების დროს, კედლებზე მის საარჩევნო პლაკატებს აკრავდნენ. 2000 წლის 14 თებერვალს, სიკვდილამდე ხუთი დღით ადრე, თავად ანატოლი სობჩაკი გახდა პრეზიდენტობის კანდიდატ ვლადიმერ პუტინის ნდობით აღჭურვილ პირი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დონის ფიგურა იყო ანატოლი სობჩაკი უკვე პოსტსაბჭოთა ახალი რუსეთისთვის, რამხელა გავლენა ჰქონდა პოლიტიკურ პროცესებზე და რამდენი რამ იცოდა რუსეთის დღეევანდელ ხელმძღვანელობაზე“.

ისე, 9 აპრილის ტრაგედიის, მინიმუმ, ორი ფიგურანტი ცოცხალი აღარაა. მართალია, ანატოლი სობჩაკმა მსოფლიოს 9 აპრილზე სიმართლე გააგებინა, მაგრამ შესაძლოა, იყო დეტალები, რომლებიც არ გაახმაურა. 9 აპრილის საიდუმლო ედუარდ შევარდნაძემაც საფლავში წაიღო...

ვინ იყო და ვის აძლევდა ხელს ვლადლენ ტატარსკის მკვლელობა

იქნება თუ არა შემდეგი პრიგოჟინი – რა ვერსიები აქვთ ანალიტიკოსებს

ნათია ზედგენიძე

2 აპრილს, სანკტ-პეტერბურგის ერთ-ერთ კაფეში სამხედრო ბლოგერი, კრემლის პროპაგანდისტი ვლადლენ ტატარსკი (მაქსიმ ფომინი) ააფეთქეს. რუსეთმა ტატარსკის მკვლელობის დაგეგმვაში უკრაინა დაადანაშაულა და უკრაინის სპეცსამსახურების მოკავშირედ დაასახელა „აგენტურა“, რომელსაც კავშირი აქვს რუსი ოპოზიციონერის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ალექსეი ნავალნის ფონდთან.

რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის მიერ, 3 აპრილს გამოქვეყნებული პრესრელიზის მიხედვით, „დადგენილია, რომ 2 აპრილს, სანკტ-პეტერბურგში ჩადენილი ტერორისტული აქტი ცნობილი ჟურნალისტის, ვლადლენ ტატარსკის წინააღმდეგ დაგეგმილი იყო უკრაინის სპეცსამსახურების მიერ“ და მასში ჩართული იყო „აგენტურა იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც თანამშრომლობენ ე.წ. ნავალნის კორუფციასთან ბრძოლის ფონდთან“.

რუსეთის ანტიტერორისტული კომიტეტის განცხადებითვე, აფეთქებასთან კავშირში ეჭვმიტანილი დარია ტრეპოვა, რომელიც უკვე დაკავებულია, ნავალნის აქტიური მომხრეა.

„რადიო თავისუფლების“ რუსული სამსახურის ინფორმაციით, 26 წლის პეტერბურგელი დარია ტრეპოვა, დაახლოებით, ერთი თვის წინ, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მისი ქმარი დიმიტრი რილოვი ამჟამად ემიგრაციაშია. 2022 წლის თებერვალში, ტრეპოვა და რილოვი სანკტ-პეტერბურგში, უკრაინაში ომის საწინააღმდეგო აქციაზე დააკავეს.

დიმიტრი რილოვმა გამოცემა SVTV-ს განუცხადა, რომ ის და დარია უკრაინაში ომს ეწინააღმდეგებიან, თუმცა დარწმუნებულია, რომ მისმა ცოლმა აფეთქების შესახებ არაფერი იცოდა.

სანკტ-პეტერბურგის კაფე „სტრიტფუდ ბარი“, სადაც აფეთქება მოხდა, კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებელ ევგენი პრიგოჟინს ეკუთვნოდა.

რუსული სააგენტოები, სამართალდამცავ სტრუქტურებზე დაყრდნობით, წერდნენ, რომ თვითნაკეთი, რადიომართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომლის სიმძლავრე, დაახლოებით, 200 გრამი ტროტილის ეკვივალენტური იყო, ვლადლენ ტატარსკისთვის ახალგაზრდა ქალის მიერ საჩუქრად გადაცემულ ქანდაკებაში იყო ჩამონტაჟებული.

ტატარსკის სიკვდილის დადასტურებიდან მალევე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ „ტელეგრამზე“ დაწერა, რომ ვლადლენ ტატარსკის „პროფესიული საქმიანობა და სამშობლოს სამსახური კიევის რეჟიმის სიძულვილს იწვევდა“. ტატარსკის მკვლელობისთვის უკრაინის დასჯა მოითხოვეს კრემლის პროპაგანდისტებმა – მარგარტა სიმონიანმა და თინა კანდელაკმა.

მათგან განსხვავებით, „ვაგნერის“ დამფუძნებელმა ევგენი პრიგოჟინმა, ტატარსკის სიკვდილში არ დაადანაშაულა „კიევის რეჟიმი“ და განაცხადა, რომ რუსეთში „მოქმედებს რადიკალების ჯგუფი“, რომელსაც მთავრობასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.

სანკტ-პეტერბურგში მომხდარ აფეთქებას „ტვიტერზე“ გამოქვეყნებული კომენტარით გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველი, მიხაილო პოდოლიაკი. მისი შეფასებით, რუსეთში, შიდა ტერორიზმის შიდა პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაქცევა მხოლოდ დროის საკითხი იყო – წერია „რადიო თავისუფლების“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

„ომის კვლევის ინსტიტუტის“ (ISW) ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსი სამხედრო პროპაგანდისტის მკვლელობა შეიძლება გაფრთხილება იყოს „ვაგნერის“ კერძო სამხედრო კომპანიის დამფუძნებლისთვის, ევგენი პრიგოჟინისთვის.

ინსტიტუტის შეფასების თანახმად, ტატარსკის მკვლელობა შეიძლება უკავშირდებოდეს კონფლიქტებს რუსულ სახელისუფლებო ელიტებში.

„ტატარსკის მკვლელობა შეიძლება იყოს გაფრთხილება პრიგოჟინისთვის, რომელიც სულ უფრო და უფრო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კრემლის რიტორიკას ომის შესახებ და ირიბად მიანიშნებს, რომ სურს რუსეთის პრეზიდენტობა“, – წერს ომის კვლევის ინსტიტუტი“

აღნიშნულ საკითხზე, „ვერსია“ სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორ **ირაკლი ალადაშვილს** ესაუბრა:

„რაც მოხდა 2 აპრილს, სანკტ-პეტერბურგში, შეიძლება, ძალიან საინტერესო გაფრთხილებაა და ეტყობა, რაღაც კავშირშია დუგინის ქალიშვილის აფეთქებასთან, რომელიც მანამდე, მოსკოვში მოხდა. საერთო ხელწერა ჩანს. რაც შეეხება ტატარსკის, ეს მისი ნამდვილი გვარი არაა, თუმცა ცნობილია, როგორც ბლოგერი, სამხედრო კორესპონდენტი და მისი ასოცირება ხდება უფრო პრიგოჟინთან, რადგანაც ის „ვაგნერის“ ერთგვარ პროპაგანდას ეწეოდა. ჩვეულებრივი პროპაგანდისტი იყო, სამხედრო განხრით და მასზე უკრაინის მხარეს შეიძლება საქმეც ჰქონდა აღძრული. ვერ გეტყვით, მაგრამ ხელაღებით იმის თქმა, რომ ეს მაინცდამაინც უკრაინელებმა გააკეთეს, ძნელია იმიტომ, რომ ისედაც ჰყავდა ბევრი მტერი ისევე, როგორც პროგოჟინს ჰყავს მტრები.

რაც შეეხება მომხდარს, ერთ-ერთ შეხვედრაზე, კაფეში, სადაც ეტყობა, ტატარსკი ჰყვებოდა ფრონტის ხაზის ამბებს, ერთმა ქალმა გადასცა პატარა ქანდაკება, რომელიც თავად ტატარსკის გამოსახავდა. აღმოჩნდა, რომ არანაკლებ 200 გრამი, ტროტილიანი ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო ჩამონტაჟებული ამ ქანდაკებაში. აფეთქების შედეგად, ტატარსკი დაიღუპა და ოცამდე ადამიანი დაიჭრა“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ირაკლი ალადაშვილი აფეთქების საქმეზე დაკავებულ ეჭვმიტანილსაც ახსენებს:

„ამ საქმეზე დაკავებულია დარია ტრეპოვა, რომელიც ქმართან ერთად, ანტისაომარი აქციების დროს დააკავეს რუსეთში, მაგრამ აქ საინტერესო ისაა, რომ ამ ქალს არ დაუტოვებია ტერიტორია. თუ მან თავად შეიტანა ბომბი და იცოდა, რომ აფეთქება მოხდებოდა... მას კაფე არ დაუტოვებია და თავადაც დაზიანდა, რაც ცოტა უცნაურად ჩანს.

თუ ეს უკრაინის მხარის მიერაა მოწყობილი, ამას არ აღიარებს. შეიძლება იყოს სხვა ვერსიებიც, იგივე, პროგოჟინის ფიგურასთან დაკავშირებული, რადგან მან ბევრი ხალხი გადაიმტერა რუსეთის თავდაცვის სამინისტროდან, გენშტაბიდან და ა.შ. თუმცა, არც ეს ნიშნავს, რომ ეს მათ განახორციელეს.

ვერსიები არაერთია, თუმცა ფაქტია, რომ იდეოლოგიური ბრძოლა გადავიდა დივერსიულ-ტერორისტულ აფეთქებებში. ომის დაწყებამდე, კიევის ცენტრშიც აფეთქებდნენ ცნობილ ჟურნალისტებს და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს, კავშირშია რუსეთ-უკრაინის ომთან“.

შეუერთდებიან თუ არა „ლეიბორისტები“ 9 აპრილს, ენმ-სგან დაანონსებულ საპროტესტო აქციას

გიორგი გუგავა: „მთლიანად დამოკიდებულები ვართ შემოწირულობებზე, რათა ოფისის შენახვის მინიმალური ხარჯები დავფაროთ“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ქვეყანაში პოლიტიკური სივრცის დეპოლარიზება ერთ-ერთი პუნქტია იმ 12-დან, რომელიც ევროკავშირმა საქართველოს წლის ბოლომდე შესასრულებლად გადასცა. ჰოდა, ზოგი მიიჩნევს, რომ რადიკალურად პოლარიზებულ ვითარებაში, განსამუხტი როლი, ე.წ. შუაშისტმა პარტიებმა უნდა შეასრულონ.

ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც „შუაშისტად“ მოიაზრება, ლეიბორისტული პარტიაა, რომლის წარმომადგენლებიც, დიდი ხანია, პარტიის ფინანსურ კრიზისზე საუბრობენ... ლეიბორისტული პარტიის გეგმებზე „ვერსია“ პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გუგავას ესაუბრა:

– ბატონო გიორგი, ლეიბორისტული პარტია აღარ აქტიურობსო, გაგაკრიტიკეს... სად ხართ, რატომ აღარ ჩანხართ აქტიურ პოლიტიკაში?

– როგორ არ ვაქტიურობთ?! წინა დღეებშიც გასვლითი აქცია გვქონდა რესპუბლიკური საავადმყოფოს დასაცავად და მუდმივად ვეწევით პარტიულ და საჯარო საქმიანობას, რა შესაძლებლობაც გააჩნია პარტიას.

მოგეხსენებათ, ლამის, აკრძალეს ჩვენი პარტია, ჩამოგვართვეს კომისიის წევრის დანიშვნის უფლება, უფასო სატელევიზიო რეკლამა, დაფინანსება... თუმცა, მიუხედავად ამისა, ვაგრძელებთ ბრძოლას, შრომას და მუდმივად წინა ფლანგზე ვართ.

მარტის აქციებშიც აქტიურად ვმონაწილეობდით.

– ფინანსურ პრობლემებზე, დიდი ხანია, საუბრობთ. დამფინანსებლის მოძიებასთან დაკავშირებით გაქვთ პრობლემა? როგორ აპირებთ ამ კრიზისის გადატანას?

– გამორიცხულია, საქართველოში, დამფინანსებელი ბიზნესი გამოჩნდეს. ეს ძველი ამბავია, სამწუხაროდ.

როცა ავტორიტარიზმი მძვინვარებს ქვეყანაში, იქ ბიზნესი არაა თავისუფალი და მთლიანად დამოკიდებულები ვართ ჩვენი თანამოქალაქეების შემოწირულობებზე, რათა ოფისის შენახვის მინიმალური ხარჯები დავფაროთ.

ბუნებრივია, ეს ძნელია, მაგრამ ამას ფიქრობდა ივანიშვილი, რომ თუ გადაჭრიდა დაფინანსების წყაროებს, ამით გააქრობდა პარტიას, მაგრამ ჩვენი პარტია აგრძელებს ბრძოლას, შრომას, ერთ წევრსაც არ დაუტოვებია პარტია და პირიქით, შემოგვემატნენ.

რა საშუალება და რესურსიც გაგვაჩნია, გავაგრძელებთ ბრძოლას, ესაა იდეით შეკრული პარტია და არა – ფინანსებით, ეს ყველამ უნდა გაიგოს!

ერთადერთი ჩვენი პარტიაა, რომელსაც ყველა გზა მოუჭრეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ვაგრძელებთ ბრძოლას და დარწმუნებული ვარ, მხარდაჭერაც გვექნება საზოგადოების მხრიდან.

– ერთხანობას, თქვენი პარტიის ახალგაზრდული ფრთა აქტიურობდა, მახსოვს, შალვა ნათელაშვილის ვაჟიც აქტიურ პოლიტიკაში, თუმცა ახლა ასე აღარაა... 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავთ?

– რა თქმა უნდა, არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას.

აქტიურადაა ახალგაზრდული ფრთაც, ვამზადებთ ახალ პროექტებს, რაც მალე გამოჩნდება და ვცდილობთ, ვიაქტიუროთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებით.

– პარტიის ახალგაზრდულ ფრთაზე, იცით, რატომ გკითხეთ? – როგორც ჩანს, მარტის აქციების დროს, პოლიტიკურ პარტიებში გააანალიზეს, რომ ახალგაზრდებს ტრიბუნა უნდა დაუთმონ, რადგან მათ დიდი ძალა აქვთ. ასე, მაგალითად, ვნახეთ ენმ-ში ახალგაზრდული მოძრაობის რეორგანიზაცია; „ლელოს“ გენერალურ მდივნად ახალგაზრდა პოლიტიკოსის ირაკლი კუპრაძის დანიშვნა...

– ამ მიმართულებით, დიდი ხანია, ვმუშაობთ. იმათ კი საჩვენებელი სვლები გააკეთეს...

ახალგაზრდული ჯგუფი ჩვენთან აქტიურად საქმიანობს, როგორც უკვე აღვნიშნე, მარტის აქციებშიც ვიყავით ჩართულები...

– 9 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ აქციას შეუერთდებით?

– 9 აპრილი არის საერთო ეროვნული დღე, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია 1989 წლის დატრიალებულ ტრაგედიასთან და იმავდროულად, 9 აპრილს გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენა.

აქედან გამომდინარე, მისი „პრივატიზება“ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხრიდან, სულ მცირე, არაგონივრულია. ამიტომ, ასეთ აქციებზე შეერთებას არ ვაპირებთ, ჩვენი ღონისძიებები გვექნება, 9 აპრილი – საქართველოს უახლესი ისტორიის საკრალური დღე, ეკუთვნის მთელ ერს და არა რომელიმე პარტიას!

ამ დღესთან ვიწროპარტიული ინტერესების დაკავშირება პოლიტიკურად არაეთიკური და არაკორექტულია.

რა ქონებას ფლობენ „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეები

მაკა რუხაძე

ლევან ხაბეიშვილისა და ირაკლი კობახიძის დეკლარაციები

„ვერსია“ აგრძელებს პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების გაცნობას. ჩვენ უკვე გავეცანით განათლების ახალი და ჯანდაცვის მინისტრების დეკლარაციებს, ამჯერად ლევან ხაბეიშვილისა და ირაკლი კობახიძის ქონებით დავინტერესდით. ვფიქრობთ, მიზეზი მარტივია – ირაკლი კობახიძე მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ხოლო ლევან ხაბეიშვილი – მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ჯერ კიდევ მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი გახლავთ. ჰოდა, ვნახოთ, რა ქონებას ფლობენ პოლიტიკოსები, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვან პოლიტიკურ პარტიებს ხელმძღვანელობენ.

ლევან ხაბეიშვილის დეკლარაცია

ლევან ხაბეიშვილით დავიწყოთ, რომელიც 30 იანვრიდან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეა. ხაბეიშვილი პროფესიით ეკონომისტია, დაიბადა 1987 წლის 7 მაისს, თბილისში. უმაღლესი განათლება ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციასთან არსებულ უნივერსიტეტში – „მცირე აკადემია“ მიიღო.

ვიდრე ქონებრივ დეკლარაციას გავეცნობით, ვნახოთ, როდის და სად მუშაობდა ლევან ხაბეიშვილი. კარიერა 2006 წლიდან, სოციალური კვლევის ინსტიტუტში – „ბი სი ჯი“ დაიწყო; 2012-2013 წლებში – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში, მთავარი სპეციალისტის პოზიციაზეა; 2013-2014 წლებში – თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე იყო; 2017 წელს აირჩიეს თბილისის საკრებულოს დეპუტატად.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლევან ხაბეიშვილი ოპოზიციური პარტიების ნაწილის საერთო კანდიდატი იყო სამგორის მაჟორიტარულ ოლქში. მან ხმების 39.14% (27 506 ხმა) მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა. მეორე ტურში მონაწილეობასა და პარლამენტში პარტიული სიით შესვლაზე უარი განაცხადა, მთლიანად ოპოზიციასთან ერთად, გაყალბებული არჩევნების მოტივით. 2020 წლიდან, საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია.

ახლა ხაბეიშვილის ქონებრივ დეკლარაციასაც გადავავლოთ თვალი, რომელიც 2021 წლის 10 თებერვალს შეავსო. ამ დოკუმენტის მიხედვით, ლევან ხაბეიშვილის საკუთრებაში უძრავი ქონება არ ფიქსირდება.

ენმ-ის ახალი თავმჯდომარის მოძრავ ქონებად ითვლება ავტომანქანა Toyota Higlander, რომელიც ლევან ხაბეიშვილმა 2020 წელს, 7 000 აშშ დოლარად შეიძინა. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ლევან ხაბეიშვილმა, თბილისის საკრებულოს წევრის პოზიციაზე, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე, შემოსავლის სახით, 30 873 ლარი მიიღო.

კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი, რაც ლევან ხაბეიშვილის ქონებრივ დეკლარაციას უკავშირდება, დარღვევებია, რის გამოც მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი დააჯარიმეს კიდეც. უფრო ზუსტად, ხაბეიშვილის გარდა, ქონებრივ დეკლარაციებში არსებული დარღვევების გამო, 2022 წელს შემოწმებულ თანამდებობის პირთა 36% დაჯარიმდა, – ვკითხულობთ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ამ ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის განმავლობაში შემოწმებული 377 პირიდან, 39 მათგანი პარლამენტის წევრი იყო. მათგან, ექვსი დეპუტატის დეკლარაცია შეფასდა დადებითად, 27 – დაჯარიმდა, სამი დეპუტატი გააფრთხილეს, ხოლო სამი დეპუტატის დეკლარაციის მონიტორინგი შეწყდა.

ერთ-ერთი დეპუტატი, რომლის ქონებაც უარყოფითად შეფასდა და დაჯარიმდა, „ნაციონალური მოძრაობის წევრი“ და მაშინ ჯერ კიდევ პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ლევან ხაბეიშვილი გახლდათ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშით, დაჯარიმების მიზეზი გახდა: ბიუროს მიერ მოთხოვნილი საბანკო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენა. ამასთან, მათი შეფასებით, დეკლარაციაში არ იყო მითითებული ინფორმაცია თანამდებობის პირის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

დეკლარაცია ლევან ხაბეიშვილს, როგორც პარლამენტის წევრს, 2022 წლის თებერვალში ჰქონდა შევსებული. დეკლარაციის შევსების მომენტში, ხაბეიშვილის სახელფასო ანგარიშზე 9 334 ლარი, ხოლო საკრედიტო ანგარიშზე, ჯამში – 2 179 ლარი ირიცხებოდა. ამასთან, მისმა პარლამენტის წევრის პოზიციაზე მისმა შემოსავალმა 42 412 ლარი, ხოლო თბილისის საკრებულოს წევრის პოზიციაზე 2021 წლის პირველ ხუთ თვეში – 12 864 ლარი შეადგინა. მასვე უფიქსირდება 23 500 ლარის მოცულობის სამომხმარებლო სესხი.

ირაკლი კობახიძე

ვიდრე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი კობახიძის ქონებრივ დეკლრაციას გაგაცნობთ, ჯერ მის ბიოგრაფიას გადავავლოთ თვალი. შეგახსნებთ, რომ ირაკლი კობახიძე 1978 წლის 25 სექტემბერს, თბილისში დაიბადა. 2000 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; 2005 წელს – ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტი, სამართლის მაგისტრის ხარისხით; 2006 წელს – ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორის ხარისხით; 2000-2001 წლებში – შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID, საზოგადოებრივი განათლების პროექტის რეგიონული კოორდინატორია; 2005-2012 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორი გახლდათ; 2011-2014 წლებში – კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი იყო; 2011-2012 წლებში – ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრია; 2011-2012 წლებში – ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში, ექსპერტი გახლდათ სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში; 2006-2014 წლებში – გაეროს განვითარების პროგრამა UNDP, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერია; 2014 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი იყო; 2016 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

2015 წლიდან, ირაკლი კობახიძე პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი და პოლიტიკური საბჭოს წევრია.

რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ირაკლი კობახიძემ დეკლარაცია ბოლოს 2022 წლის მიწურულს შეავსო. დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ ირაკლი კობახიძის მეუღლე, ნატალია მოწონელიძე, რომელიც პროფესორია, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში დაბადებულა. წყვილს ორი შვილი ჰყავს – 2011 წელს დაბადებული გიორგი და 2014 წელს დაბადებული ნიკო.

დეკლარაციის მიხედვით ირკვევა, რომ წყნეთის გზატკეცილზე, ირაკლი კობახიძეს აჩუქეს 20 კვ.მ. ავტოფარეხი და 157.8 კვ.მ. ბინა. ორივე საჩუქარი მას 2016 წელს მიუღია.

ირაკლი კობახიძის საკუთრებაშია ავტომობილი Mercedes-Benz S Class – 2014, რომელიც 2020 წელს, 20 000 აშშ დოლარად შეუძენია.

დეკლარაციის მიხედვით ვიგებთ, რომ კობახიძის ოჯახი არ ფლობს ფასიან ქაღალდებს. ქონებრივი დეკლარაციის შევსების დროს, პოლიტიკოსის ანგარიშზე, თიბისი ბანკში, 60 ათასი აშშ დოლარი ირიცხებოდა, ხოლო საკრედიტო ბარათზე – 1 104 ლარი.

გარდა იმისა, რომ პარლამენტის წევრია, ირაკლი კობახიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. ამ საქმიანობაში, 2021 წელს, 13 989 ლარი მიიღო; პარლამენტში მუშაობის პერიოდში, ერთი წლის განმავლობაში – 63 580 ლარი.

რაც შეეხება შვილების სწავლის საფასურს, ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ უფროსი შვილის სწავლის გადასახადი 10 057 ლარი, ხოლო უმცროსი შვილის სწავლის გადასახადი – 8 398 ლარი ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, ირაკლი კობახიძის მეუღლე ნატალია მოწონელიძე პროფესორია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს. გასულ წელს, ამ საქმიანობაში მან 11 472 ლარი მიიღო. გარდა ამისა, ნატალია მოწონელიძე მუშაობს სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოში“, თავმჯდომარის მოადგილედ. გასულ წელს, ამ პოზიციაზე მოწონელიძეს 48 851 ლარი მიუღია.

ფინანსური დარღვევები დიასპორულ პროექტებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი სკანდალური დასკვნა

აუდიტი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, 2017-2021 წლების პერიოდს მოიცავს. მართალია, ორი წლისწინანდელია, მაგრამ მაინც საინტერესოა, რადგან საზოგადოებამ ზუსტად უნდა იცოდეს, იხარჯება თუ არა მიზნობრივად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები, განსაკუთრებით იმ პროექტებში, რომლებიც ემიგრანტებს ეხება. აუდიტის ანგარიში, რომელსაც „ვერსია“ გთავაზობთ, ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერების ეფექტიანობას ეხება. აუდიტის მიზანია, სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი რეკომენდაციების გაცემა. აუდიტი განხორციელდა ერთადერთი მიზნით – სახელმწიფო მაკონტროლებლებს შეესწავლათ, რამდენად უზრუნველყოფილია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ინტერესების განხორციელების შესაძლებლობა და გამოიყენება თუ არა ქვეყნის განვითარებისთვის დიასპორის პოტენციალი.

აუდიტის ობიექტად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი განსაზღვრეს. სახელმწიფო მაკონტროლებლებმა გაარკვიეს, რომ 2017-დან 2021 წლამდე, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი პროექტები: „ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა“; პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“; „მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტი“; პროგრამა „მომავლის ბანაკი“; „დიასპორის დღე“; საგრანტო პროგრამა „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“; „უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“. როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტების განხორციელებასა და დაგეგმვაში აუდიტორებმა მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინეს.

ხარვეზები პროექტების დაგეგმვაში

ვიდრე დარღვევებს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის განვითარების ხელშეწყობა. ამისთვის, სახელმწიფო აუცილებლობად მიიჩნევს ქართულ დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც თანამემამულეებისთვის სახელმწიფოს შესაძლებლობების ფართო ხელმისაწვდომობას, ხოლო საქართველოსთვის – სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს. ამის მიღწევად, აუცილებელია მიგრაციის პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განსაზღვრა, რაც სრულყოფილად უნდა აისახოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებსა და განსახორციელებელ პროგრამებში.

საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის შესახებ“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. ამ პროგრამას ახორციელებს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ დეპარტამენტს განხორციელებული აქვს მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და სამრევლოების გამოკითხვა, რომელთა საჭიროებები განსხვავდება დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან; არ არის მითითებული პროგრამის მოქმედების, შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები; დეპარტამენტს არ განუხორციელებია ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების გაზომვა და შეფასება, რაც აუცილებელია დიასპორის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვისა და შესრულებისთვის“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები საჭიროებების შესახებ, დიასპორული პროექტების ეფექტიანად დაგეგმვისათვის არასაკმარისია, ვინაიდან გამოკითხულია მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციები – საკვირაო სკოლები და სამრევლოები, რომელთა საჭიროებები დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან განსხვავდება. შედეგად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს, რამდენად სრულყოფილად მოიცავდა ან რამდენად ეფექტიანად მართავდა დიასპორის საჭიროებებს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი ეს აქტივობები.

არასაკმარისი წვდომა დიასპორულ პროგრამებზე

„ახალგაზრდა ელჩებისა“ და „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამების საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესის თანახმად, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები მოიცავდა კონკურსანტის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასებას. პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ეფუძნებოდა კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების, გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას, ხოლო შეფასების დასაბუთებული შედეგი უნდა ასახულიყო კომისიის სხდომის ოქმებში.

„აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ კომისიის სხდომის ოქმებში არ არის ასახული კომისიის მიერ, თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე – რა მსჯელობებს ეყრდნობოდა კომისია. ასევე, ნაკლოვანებები აღინიშნება საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესშიც. კერძოდ, არ იყო დადგენილი, რა ქულით უნდა შეფასებულიყო ესა თუ ის კრიტერიუმი“.

გარდა ამისა, აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ „ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების მართვა მიმდინარეობდა გარკვეული ხარვეზებით. კერძოდ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში არ იყო ასახული კომისიის მიერ თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები.

არაეფექტიანად განხორციელებული პროექტები

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, კერძოდ, ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამას; პროექტს – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“; მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტს; პროგრამას – „მომავლის ბანაკი“; პროექტს – დიასპორის დღე; საგრანტო პროგრამას – „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“; უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერას.

„აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევაში, ვერ ხორციელდებოდა პროექტში გამარჯვებულთა მიერ, მიმდინარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ქმედითი და ეფექტიანი კონტროლი. რამდენიმე შემთხვევაში, დეპარტამენტს სრულად არ დაუანგარიშებია და არ გამოუთხოვია ინფორმაცია კონკურსანტების მიერ დასაბრუნებელ თანხებზე, რაც კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე მიუთითებს. 2020 წელს, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „ახალგაზრდა ელჩების“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 25 კონკურსანტზე გაიცა 175 000 ლარი. ჩატარებული აქტივობების შესახებ, პროგრამის მონაწილე ბენეფიციარების მხოლოდ ნაწილმა წარადგინა ანგარიშები და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რამაც სრული თანხის – 175 000 ლარის მხოლოდ 21% შეადგინა. კონკურსანტების დარჩენილმა ნაწილმა სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნა აუთვისებელი გრანტი – 137 999 ლარის ოდენობით“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2019-2020 წლებში, დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, 73 ბენეფიციარი მონაწილეობდა, რომლებმაც ჯამში – 1 316 955 ლარი მიიღეს. აქედან, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, ერთ ბენეფიციარს არ წარუდგენია შესრულებული სამუშაოს ანუ 20 140 ლარის ანგარიშები. 2020 წელსაც მხოლოდ ერთმა ბენეფიციარმა არ წარადგენია 14 300 ლარის ანგარიშები.

„აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ მონაწილე კონკურსანტთა უმეტეს ნაწილს – 72%-ს, გამოუყენებელი თანხა გადარიცხული აქვს ბიუჯეტში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ოთხი დღის დაგვიანებით, ხოლო ორ შემთხვევაში, თანხის დაბრუნება დაგვიანებულია 13-დან 22 დღემდე. სინამდვილეში, პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გამო, თანხები ბიუჯეტში დაგვიანებით ჩაირიცხა; „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ კონკურსანტთა მიერ წარდგენილი ანგარიშები არ შეესაბამება საკონკურსო განაცხადებში მითითებულ სამოქმედო გეგმებს, ხოლო დაგეგმილი ღონისძიების შეცვლაზე, რიგ შემთხვევებში, შეთანხმება წარდგენილი არ არის“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტში არსებული კონტროლის მექანიზმებს სრულყოფა სჭირდება, ვინაიდან ორ შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარდგენილი, ხოლო რიგ შემთხვევებში, დიასპორის წარმომადგენლებს შორის, სათანადოდ არ გავრცელებულა ინფორმაცია დეპარტამენტის საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე.

„შესაბამისად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას – შეაფასოს განხორციელებული პროექტებით მიღწეული შედეგები და საგრანტო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებზე, კონკურსანტებისგან დროულად გამოითხოვოს გაცემული საბიუჯეტო სახსრები“.

სამართალი

№12 5 აპრილი 2023 წ

რატომ არ ეშინიათ ნარკორეალიზატორებს დაჭერის

სქემა – როგორ კეთდება დიდი ფული ნარკოტიკების ვაჭრობით

ბათო ჯაფარიძე

30 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის, კახეთისა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთდროულად ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 58 პირი დააკავეს, საიდანაც ნახევარზე მეტი ანუ 31 ნარკორეალიზატორია. არ ვარღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რადგან პოლიციას მათი დაკავების უფლება არ აქვს, თუ საკონტროლო შესყიდვას არ განახორციელებს და ყველაფერ ამას ვიდეოზე არ გადაიღებს. შედეგად, 31-ვეს წინააღმდეგ, სამართალდამცავებს საკმარისზე მეტი სამხილი აქვთ. დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა...

ნარკოტიკების გასაღების საქმეში ჩართულები იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც, რომლებიც სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციებზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, ფოტოს უღებდნენ, რასაც შემდგომ, შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკის შეძენით დაინტერესებულ პირებს. ფულის გადახდა „ფეი-ბოქსების“ ან კრიპტო-ვალუტით ხდებოდა.

ყველაზე საინტერესო ნარკოტიკების ის ნაირსახეობაა, რომელიც სამართალდამცავებმა ამოიღეს. „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“, „მდმა“, „ალფა-პვპ“, „მეფედრონი“, „პრეგაბალინი“, „მეტამფეტამინი“, „ფენტანილი“, „ტრამადოლი“, „პსილოცინი“, „მარიხუანა“ და რაც მთავარია, სინთეტიკური ნარკოტიკი. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს, საქართველოში შემოდის და ძალიან, ძალიან დიდი ოდენობით იყიდება.

ბოლოდროინდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკავების მასშტაბები არნახულია. სამართალდამცავები, ლამის, თვეში ერთხელ ატარებენ მასშტაბურ სპეცოპერაციებს და ნარკოტიკების ათეულობით გამსაღებელს აკავებენ. თუ ნარკოდამოკიდებულთა მიმართ კანონი ლიბერალურია, გამსაღებლების მიმართ მკაცრია და მერწმუნეთ, დაკავებულებიდან თავისუფლებაზე ერთიც ვერ ხვდება, ყველა დამსახურებულ სასჯელს იღებს, მაგრამ შემცირების ნაცვლად, ნარკოდილერთა რიცხვი იზრდება.

რატომ?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის შემოსვლა ადვილია. „ერი – გულადი, პურადი, სტუმართმოყვარე“ ფართოდ უღებს კარს ნებისმიერი ჯურის ადამიანს და მათგან არა ერთი და ორი აქ, სწორედ ნარკოტიკების გასასაღებლად შემოდის. როგორ შემოაქვთ ნარკოტიკი? ეს ცალკე თემაა, „ჰეროინსა“ და „კოკაინს“ ადგილზე ვერ დაამზადებ, ის კონტრაბანდული გზით, როგორც ზღვით, ისე ხმელეთით შემოდის და პოლიცია ამ მიმართულების გაკონტროლებასაც ძალიან ცდილობს, მაგრამ ბოლომდე სათანადოდ რომ არ გამოსდის, ცხადია. ჩვენ კი არა, ნებისმიერი ქვეყნის პოლიცია ვერ ახერხებს სრულად აღკვეთოს ნარკოტიკების ბრუნვა და რა გასაკვირია, რომ გამონაკლისი არც ჩვენ ვართ.

რაც შეეხება დანარჩენ ნარკოტიკებს, განსაკუთრებით, სინთეტიკურსა და „ჰიბრიდულ მარიხუანას“, ის ადგილზე მზადდება და არაერთ ბინაში მცირე ლაბორატორიაა მოწყობილი. სამწუხაროდ, ინტერნეტის ეპოქაში პრობლემას არ წარმოადგენს, მოიძიო ის ქიმიური შენაერთები, რომლითაც ნარკოტიკის დამზადება ხდება და რაც მთავარია, ყველაფერი საოჯახო მაღაზიაში შეიძინო, სადაც აბაზანა-ტუალეტის საწმენდი საშუალებები იყიდება. ჰო, ნარკოტიკებს ქლორისგან, საკანალიზაციო „კროტისგან“, ბენზინისგან, ასანთის წამლისგან ამზადებენ და მერე ან ვენაში უშვებენ, ან კანაფის ფოთლებს ასხურებენ და ეწევიან.

არის თუ არა ეს პირდაპირი გზა სიკვდილისკენ? – რა თქმა უნდა, არის! თუმცა, საქმე ის გახლავთ, რომ პროცენტულად, ნარკოტიკების გამსაღებლების 99%-ზე მეტი, თავად არ ეკარება მომაკვდინებელ ნივთიერებას და მხოლოდ ჰყიდის. ჰყიდის სიკვდილს და ზუსტად იცის, რომ მისი მომხმარებელი, ადრე თუ გვიან, მორიგი დოზისთვის ვეღარ მივა, რადგან ის, რასაც ჰყიდის, მომაკვდინებელია. ეს იცის მყიდველმაც, მაგრამ ქიმიური ნაერთი ისეთ დამოკიდებულებას იწვევს, რომლისთვისაც თავის დანებება, ექიმების ჩარევისა და სპეციალური მკურნალობის გარეშე, გამორიცხულია. ამის შესაძლებლობა და რაც მთავარია სურვილი, პრაქტიკულად, არავის აქვს. წამლით გაბრუებული ახალგაზრდები არ ფიქრობენ, რომ ყველაფერი ეს, შესაძლოა, ფატალურად დასრულდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა ერთი შეხედვით, უწყინარ „მარიხუანას“ ეწევიან და ფილტვების გასახვრეტად, ქიმიური ნაერთით გაჟღენთილ კვამლს უშვებენ.

ერთი შეხედვით, 20-წლიანი და უვადო სასჯელი ცოტა ნამდვილად არ არის. მაშინ, რატომ რისკავენ ნარკოდილერები და პრაქტიკულად, მთელი დარჩენილი ცხოვრების ციხეში გატარების რატომ არ ეშინიათ? საქმე ის გახლავთ, რომ ნარკოტიკების გაყიდვა ძალიან, ძალიან და კიდევ ერთხელ, ძალიან მომგებიანია და არანორმალურად დიდ მოგებას ტოვებს. შედარებისთვის გეტყვით, თავის დროზე, ერთი აბი „სუბოტექსი“, საფრანგეთსა და ბელგიაში, 1 ევრო ღირდა, საქართველოში კი 700 ლარად იყიდებოდა ანუ 100 აბი „სუბოტექსი“ ევროპაში – 100 ევრო, საქართველოში – 70 ათასი ლარი ღირდა. ხვდებით სხვაობისა და მოგების მასშტაბს? ახლა კი მოგება ბევრად მეტია, რადგან ქიმიური ნაერთები, შესაძლოა, 100 ლარი დაუჯდეთ და გააკეთონ 200 ათასი ლარის ნარკოტიკი, ლიტრობით ნაყიდი ქლორი და საწმენდი საშუალებები გრამებად გაყიდონ. „ბარიგებმა“ ეს ძალიან კარგად იციან და რისკავენ იმის იმედით, რომ სანამ მათ კვალზე პოლიცია გავა, დიდ ფულს მოხსნიან და საქმეს შეეშვებიან, მაგრამ ფული საკმარისი არასდროსაა და ისინი ვერ ჩერდებიან, კიდევ ერთი პარტიის გაყიდვისა და შემდეგ გაჩერების იმედად, საბოლოოდ, სამართალდამცავების ხელში ვარდებიან და სასჯელსაც იღებენ. მხოლოდ ერთეულები, ძალიან ცოტა თუ ახერხებს საქმისთვის თავის დროზე დანებებას, მაგრამ მხოლოდ დანებება არ კმარა, მერე უნდა გაქრე ინტერნეტ-აპლიკაციიდან, სოციალური ქსელიდან, თუ სახლიდან ყიდი, სახლიდანაც წახვიდე, რადგან მომხმარებლები არ მოგასვენებენ. ვიღაც იკითხავს, აკონტროლოს პოლიციამ ინტერნეტ-აპლიკაცია და სოციალური ქსელებიო, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ნარკოდილერები სპეციალისტებს ქირაობენ და ცალკე აპლიკაციებს ქმნიან, რომელთა გატეხვა-გაშიფვრას დრო სჭირდება.

ჩვენი აზრით, სამართალდამცავებისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ნარკორეალიზატორისთვის ვიდეოს გადაღება და აუცილებელი საკონტროლო შესყიდვის გაკეთებაა. როცა თვალთვალის შედეგად დგინდება, რომ ადამიანი სახლიდან, პირდაპირ ჭიშკრიდან, „ნაგლად“ ყიდის წამალს და ნარკოლოგიურში, აღრიცხვაზე მყოფი ადამიანები ერთი-მეორეს მიყოლებით აკითხავენ, რა აუცილებელია ვიდეოგადაღება და საკონტროლო შესყიდვა, არ კმარა ის, რომ დღეში ათზე მეტი ადამიანი აკაკუნებს ჭიშკარზე, ფულს აწვდის, იქიდან კი რაღაც შეკვრას იღებს, თუმცა ეს იმისთვისაა საჭირო, რომ შემდეგ ადვოკატებმა სასამართლოში იმის მტკიცება არ დაიწყონ, ჩემს კლიენტს ნარკოტიკი ჩაუდეს, თორემ ისე, მამა-აბრამის ბატკანიაო.

მოკლედ, სიკვდილი დადის საქართველოში და მას ნარკოტიკი ჰქვია.

ტარიელ ონიანმა „მამულოს“ გაარტყა

კრიმინალური სამყარო დიდი „რაზბორკებისთვის“ ემზადება

ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ონიანი მორიგ შარში გაეხვა. არცთუ დიდი ხნის წინ, ონიანი ხელით ვარლამ კუხიანიძეს (იგივე, „ვატია“) შეეხო და ამის გამო, ბევრ კოლეგას კითხვა გაუჩნდა. ჰოდა, ტარო ცდილობდა, „სხადნიაკი“ გაემართა და ამ მიზეზით პოლონეთში იმყოფებოდა, სადაც, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ თემაზე, კიდევ ერთ „კანონიერ ქურდს“, ვლადიმერ ჯიბლაძეს (იგივე, „მამულო“) ესაუბრებოდა.

„მამულო“ 76 წლის გახდა და ძველი ყაიდის წარმომადგენელთა შორის, ერთ-ერთი „უკანასკნელი მოჰიკანია“. ჰოდა, ამჯერად, ონიანი მას შეეხო ხელით და მართალია, მუშტი-კრივი არ გაუმართავს, მაგრამ საკმაოდ ძლიერად შემოარტყა.

როგორც გვეუბნებიან, ონიანი ცდილობს, ციხეში ყოფნის (10 წელზე მეტი გაატარა) გამო დაკარგული გავლენა კვლავ დაიბრუნოს, მაგრამ ამის შესაძლებლობას ახალგაზრდა „კოლეგები“ არ აძლევენ. შედეგად, სადაც სიტყვა არ ჭრის, ონიანი არც ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე ამბობს უარს.

ამ ორი ინციდენტის გამო, დიდი „სხადნიაკის“ აუცილებლობაზე უკვე ყველა ალაპარაკდა. ახლა მთავარია, სად უნდა გაიმართოს შეკრება ისე, რომ სამართალდამცავების ყურადღება არ მიიპყროს და „კანონიერი ქურდები“ გისოსებს მიღმა არ აღმოჩდნენ.

როგორც გვეუბნებიან, „მამულოსთან“ დაპირისპირება პოლონეთში მოხდა, მაგრამ ამ ქვეყანაში ონიანი დიდხანს არ გაჩერდებოდა, რადგან მონტენეგროში ცხოვრობს.

დიდი შეკრების აუცილებლობაზე ალაპარაკდა გისოსებს მიღმა მყოფი შაქრო კალაშოვიც, რომელიც ონიანთან დაპირისპირებულია და რაღა თქმა უნდა, მის წინააღმდეგ იქნება.

კრიმინალური სამყარო მოსალოდნელ შეხვედრას უდიდესი ინტერესით ელოდება, რადგან სწორედ იქ უნდა გაირკვეს, ვინ ვინ არის და ვინ იპირველებს კრიმინალურ სამყაროში, უახლოესი წლების განმავლობაში.

ბათო ჯაფარიძე

ტრაგედია ლისის ტბაზე – ახალგაზრდა კაცი მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს

რა ჩვენება მისცა გარდაცვლილის საცოლემ გამოძიებას

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, საქართველო არ არის გამონაკლისი იმ ქვეყნებს შორის, სადაც ნარკოტიკების პრობლემა ძალიან აქტიურად დგას. უფრო სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ნარკოტიკებმა 90-იანებში ერთი თაობა შეიწირა, იმავე 90-იანებში, იგივე თაობა ომმა წაიყვანა და იმავე 90-იანებში, იგივე თაობა სამოქალაქო ომმა გაანადგურა. ვერ გეტყვით, სხვაგან თუ იყო პრეცენდენტი, რომ ნარკომანობა „კაი ტიპობად" ითვლებოდა და ადამიანები ამას არც მალავდნენ... ესეც 90-იანებში იყო... ყველაფერ აქედან გაკვეთილი ვერ მივიღეთ, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, რომ ნარკოტიკები მსუბუქად და მძიმედ დავყავით, კანონიც შევარბილეთ და ახლა, „მარიხუანას" მოზარდები ცხვირ-პირში აბოლებენ ერთმანეთს. ზოგადად, მსუბუქ ნარკოტიკზე ნახევარი საქართველო „ზის". აფხაზეთის ომის ერთი ვეტერანი ყვებოდა, როცა ვიბრძოდით, რუსები იარაღს ჩვენ და აფხაზებს ერთნაირად გვაძლევდნენ, ერთმანეთი რომ გვეხოცა და წამლებიც რუსეთიდან შემოდიოდაო. ჰოდა, რუსეთიდან შემოტანილ წამლებში გამაყუჩებელი საშუალება მხოლოდ მორფინი იყო და ეს იმიტომ, რომ ჯარისკაცები ნარკოდამოკიდებული გამხდარიყვნენ. აფხაზეთის ომის შემდეგ, საქართველოში დაბრუნებული მეომრები დარჩნენ ნარკოტიკის გარეშე, მაგრამ იარაღით ხელში და სწორედ მერე დაიწყო, რაც დაიწყო. საბედნიეროდ, ეს ყველას არ ეხება, ბევრმა მოახერხა რეაბილიტაცია, მაგრამ უფრო მეტმა „ლომკის" მოხსნის გულისთვის, არაერთი დანაშაული ჩაიდინა.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, რამდენიმე წლის წინ მოხდა. ლისის ტბასთან გაჩერებულმა ავტომობილმა ერთ-ერთი დამსვენებლის ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ სანაპიროზე ორ საათზე მეტხანს იმყოფებოდა, ჩანდა, რომ მოშორებით მდგარ მანქანაში ვიღაცები ისხდნენ, მაგრამ სიცხის მიუხედავად, გარეთ არ გადმოდიოდნენ. დამსვენებელი ავტომობილს მიუახლოვდა და 112-ში დარეკა. სასწრაფო დახმარების მანქანას საპატრულო პოლიციამ მიასწრო, თუმცა ექიმებიც მალე გამოჩდნენ და დიაგნოზიც იქვე დასვეს – მანქანაში მჯდომი ბიჭი გარდაცვლილი იყო, გოგონა – ცოცხალი. გოგონას წვეთოვანი იქვე დაუდგეს, ჟანგბადის ბალიში გაუკეთეს და უკვე საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე თვალიც გაახილა, თუმცა მალე ისევ გაითიშა. ცხადი იყო, ნარკოტიკის გადაჭარბებული დოზა მიიღეს, მაგრამ ადგილის დათვალიერების შემდეგ, სამართალდამცავებმა „მარიხუანას" ნამწვი ნახეს. რაღა თქმა უნდა, ის ექსპერტიზაზე წაიღეს, ავტომობილი კი პოლიციის სადგომზე გადაიყვანეს.

სამართალდამცავებმა გარდაცვლილი ბიჭის ვინაობაც გაარკვიეს და გოგონასაც, რომელიც საავადმყოფოში სიკვდილს ებრძოდა. ისინი შეყვარებულები იყვნენ და ორ კვირაში ქორწილი უნდა ჰქონოდათ, თუმცა... მშობლები თმას იგლეჯდნენ და სახეს იხოკავდნენ, ვერცერთს წარმოედგინა, რომ მათი შვილები ნარკოტიკს მოიხმარდნენ და მერე რა, რომ ამ შემთხვევაში, საქმე თითქოს უწყინარ „მარიხუანასთან" ჰქონდათ. ექსპერტიზის დასკვნა მალე მოვიდა – „მარიხუანას" ფოთლებზე რაღაც ქიმიური ნაერთი იყო გადასხმული, რომელმაც გულის გაჩერება გამოიწვია. გოგო ცოცხალი ერთადერთი მიზეზით შეიძლებოდა ყოფილიყო – სავარაუდოდ, ცოტა მოწია. ახლა, მთავარი იყო იმის გარკვევა, სად და ვისგან შეიძინეს მარიხუანა ახალგაზრდებმა და ამისათვის გოგოს ჩვენება აუცილებელი გახლდათ. მანამ, სანამ გოგო აზრზე მოვიდოდა, პოლიციამ მათი ტელეფონების ლოკაცია შეამოწმა ანუ სად იყვნენ და როდის... ისინი მანქანიდან მხოლოდ ერთხელ, ერთ-ერთი კორპუსის ეზოში, საბავშვო მოედანთან გადმოვიდნენ, რაც იქაურებმაც დაადასტურეს და წყვილი იმიტომ დაამახსოვრდათ, რომ დასასვენებელი სკამის ქვეშ, რაღაცას ეძებდნენ. სავარაუდოდ, იპოვეს, რადგან მალე წავიდენ, თუმცა ერთი, ყველაზე დაკვირვებული ქალბატონი ამბობდა, ბიჭმა ქაღალდის ფურცელი აიღო, იქვე გაშალა და წაიკითხა, ნივთი არ წაუღიაო, თუმცა პოლიციამ ჩათვალა, რომ „მარიხუანა", სწორედ ქაღალდში იყო გახვეული. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ წყვილმა „მარიხუანა" ინტერნეტით შეიძინა და „ბარიგამ", სავარაუდოდ, ლოკაცია ჩაუგდო, მაგრამ ლოკაცია არც ბიჭის და არც გოგოს ტელეფონში არ იყო. მეორე დღეს გოგონა აზრზე მოვიდა, თუმცა სამართალდამცავებთან საუბარს მანამ არ აპირებდა, სანამ არ უთხრეს, რომ მისი საქმრო გარდაცვლილი იყო.

„ჩემი საქმროს მეგობარია, მან გვითხრა, როგორ უნდა გვეყიდა „მარიხუანა". მალე ქორწილი უნდა გვქონოდა, მერე ოჯახი, ბავშვი და ამიტომ, ნარკოტიკს ვეღარასდროს გავეკარებოდით. ბოლო გართობა უნდა ყოფილიყო უწყინარი „მარიხუანით". ჩემს საქმროს უნდოდა, თორემ მე გასინჯულიც არასდროს მქონია. ინტერნეტით მოვიძიეთ, საბავშვო მოედანზე, სკამის ქვეშ წერილი დაგვხვდა, სადაც „მარიხუანას" ადგილსამყოფელი იყო მითითებული: ლისის ტბა, კონკრეტული ხე, მის მოპირდაპირე მხარეს ქვა და ქვის ქვეშ – „მარიხუანა". ფული ინტერნეტით გადავიხადეთ, მერე მოვწიეთ. უფრო სწორედ, ჩემმა საქმრომ სამჯერ მოქაჩა, მე მხოლოდ ერთხელ და მეტი არაფერი მახსოვს", – ტირილით ყვებოდა გოგო.

გარდაცვლილის მეგობარი მალე დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს. მან ძალიან მშვიდად აკრიფა ინტერნეტ-მისამართი და მისწერა, რომ „მარიხუანას" შეძენა სურდა. პასუხი რამდენიმე წამში დაუბრუნეს და უთხრეს, რამდენი იყო გადასახდელი და სად უნდა ენახა წერილი. სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე გაეშურნენ, ისევ საბავშვო სკვერი, ისევ სკამი და... წერილი ნახეს, თუმცა მის დამდებს ვერ მიასწრეს. დაახლოებით, ორ საათში ექსპერტიზამ თქვა, რომ წერილზე მიმაგრებული წებოვანი ლენტის მდგომარეობით თუ იმსჯელებდნენ, ის სკამის ქვეშ, ყველაზე ცოტა, 48 საათის წინ დაამაგრეს. შსს-მ ლამის განგაში გამოაცხადა, დედაქალაქში ყველა სკვერი და სკამი დაათვალიერეს და ანალოგიური 4 წერილი იპოვეს, თუმცა მითითებულ მისამართებზე „მარიხუანა" არ იყო. გამოდიოდა, რომ „ბარიგა" წერილს ადრე ტოვებდა, მერე კი, როცა კლიენტი გამოჩნდებოდა, ნარკოტიკი ადგილამდე მიჰქონდა. სანამ მყიდველი წერილს ნახულობდა, „ბარიგა" ნარკოტიკის დადებას ასწრებდა. პოლიციას ხელთ ოთხი წერილი ჰქონდა, ოთხივე მისამართზე ოპერატიული ჯგუფი გაიგზავნა და გამყიდველს ინტერნეტით მისწერეს, რომ „მარიხუანას" შეძენა სურდათ. მან ოთხი წერილიდან ერთ-ერთი დაასახელა და მოიწერა, რომ წერილში ნარკოტიკის ლოკაცია იქნებოდა მითითებული. წერილში, რომელიც „ბარიგამ" მყიდველს შესთავაზა, ლოკაციად წყნეთისკენ მიმავალი გზა იყო მითითებული, გზაზე კი კონკრეტული მოსახვევი და კონკრეტული ნაძვის ხის ძირი. ოპერჯგუფი ადგილზე უკვე ჩასაფრებული იყო.

დაახლოებით, 10 წუთში, ხესთან სკუტერით ახალგაზრდა გოგონა გამოჩნდა, გამოვიდა, ვითომც არაფერიო, ხესთან მივიდა, იქვე დადებული ქვა ასწია, შიგნით რაღაც შეაგდო და ის იყო, სკუტერზე უნდა დამჯდარიყო, ორივე მხრიდან საპატრულო ეკიპაჟის მანქანებით ჩაუხერგეს გზა. გოგონა გაოცებისგან გაშეშდა, გაქცევა არც უცდია. ქვის ქვეშიდან „მარიხუანა" გამოიღეს.

„მე არ ვიცი, ვინ არის დილერი. მე კურიერი ვარ, თვეში ან ორ თვეში ერთხელ, მეც წერილით ვიღებ ინფორმაციას, სად არის დამალული დიდი ოდენობით „მარიხუანა". მერე სახლში მიმაქვს და როცა მირეკავს, სკუტერით ვტოვებ. მთავარი პირობაა, რომ დარეკვიდან 10 წუთში, ადგილზე ვიყო და ამას ყოველთვის ვახერხებ. საკვები დამაქვს და შეკვეთაც რომ მქონდეს, „მარიხუანა" მაინც მიმაქვს", – განაცხადა გოგონამ.

მის სახლში, გასაყიდად გამზადებული „მარიხუანას" 7 შეკვრა აღმოაჩნეს. ძალოვნებს კოვზი ისევ ნაცარში ჩაუვარდათ და როგორც გოგონამ უთხრა, სავარაუდოდ, დილერს მისი მსგავსი, კიდევ რამდენიმე კურიერი ჰყავდა თბილისის სხვადასხვა უბანში, რადგან გოგონა, ძირითადად, საკუთარი სახლისა და სამსახურის გარშემო ტრიალებდა ანუ ადგილამდე ათ წუთში თუ არა, 15 წუთში აუცილებლად მივიდოდა. ნარკოტიკების მთავარმა გამსაღებელმა თავისი საქმე ძალიან კარგად იცოდა, ამიტომ პოლიციას რაღაც ისეთი უნდა მოეფიქრებინა, რასაც ის არ ელოდა. ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთმა გამომძიებელმა საინტერესო იდეა წამოაყენა – გოგონას დილერისთვის უნდა მიეწერა, რომ ის და მისი მეგობრები დიდ წვეულებას მართავდნენ, სადაც დაახლოებით, ასამდე ახალგაზრდა იქნებოდა და „მარიხუანა" დიდი რაოდენობით იქნებოდა საჭირო. დაახლოებით, 12 ათასი ლარის „მარიხუანა" შეუკვეთეს, როცა დილერმა წერილი დატოვა, ლოკაცია უკვე იცოდნენ და გოგონამ ისევ მისწერა, რომ სკუტერი გაუფუჭდა და ადგილამდე აგვიანდებოდა. „მარიხუანა" ისევ ლისის ტბის მიმდებარედ იყო დატოვებული და იქ დასუფთავების სამსახურის ფორმაში გამოწყობილი პოლიციის ოცამდე თანამშრომელი გაემართა. იყო ვარაუდი, რომ დილერი ძვირადღირებულ საქონელს არ მიატოვებდა და თვალთვალს დაუწყებდა. როცა ტერიტორიაზე „დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები" გამოჩდნენ და ნაგვის მოგროვება დაიწყეს, ლოკაციის ადგილთან ნელ-ნელა კრავდნენ წრეს. ამ დროს, იქვე მდგომი მანქანიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა, აჩქარებული ნაბიჯით წავიდა ნარკოტიკისკენ, შეკვრა აიღო და უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ „მეეზოვეებმა" იარაღი მიუშვირეს. დილერი მიხვდა, რომ გაება...

ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ დაკავებული საქართველოს მოქალაქე არ იყო, თუმცა „მარიხუანას" გაყიდვა რომ დაეწყო, ქართული შეისწავლა, ველურ „მარიხუანას" თბილისის შემოგარენში, მტკვრისა და არხის პირებზე გლეჯდა, ახმობდა, შემდეგ რაღაც ქიმიურ ხსნარს ასხამდა და ყიდდა. როგორც ჩანს, დოზები აერია და ახალგაზრდა ბიჭის სიკვდილიც ამან გამოიწვია, თორემ ჩვეულებრივ შემთხვევაში, ქიმიური ნაერთი მწეველს უბრალოდ აბრუებდა. სასამართლომ მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რატომ არა უვადო პატიმრობა? იმიტომ, რომ „მარიხუანა", თურმე, მსუბუქი ნარკოტიკია...

ბათო ჯაფარიძე

თაღლითობა, პრაქტიკულად, უხსოვარი დროიდან გავრცელებული დანაშაულია. ტექნოლოგიური წინსვლის მატებასთან ერთად, თაღლითობის მასშტაბებიც იზრდება, თუმცა მაინც არიან ისეთები, რომლებიც მარტივად თაღლითობენ. რა იგულისხმება მარტივ თაღლითობაში? მაგალითად, რამდენიმე წლის წინ, ორმა პიროვნებამ ფერადი ლითონის მიმღები პუნქტის თანამშრომლებს უთხრეს, რომ 10 ტონა სპილენძი ჰქონდათ და მეორე დღისთვის მიიტანდნენ, მათ კი თანხა უნდა გაემზადებინათ. საუბარი 80 ათას ლარზე იყო. მხარეები შეთანხმდნენ, მეორე დღეს კი 10 ტონა სპილენძის ნაცვლად, ორმა პიროვნებამ გადაჭრილი სანადირო თოფი მიიტანეს და 80 ათასი მოითხოვეს. ჯართის მიმღები პუნქტის თანამშრომლებს საქმის კურსში სამართალდამცავები ჰყავდათ ჩაყენებული, რომლებიც მაშინვე გამოჩდნენ, თაღლითები დააკავეს, თუმცა თაღლითობის გარდა, ყაჩაღობის მცდელობის მუხლიც შეუფარდეს და ციხეში 7-7 წლით გამოკეტეს.

თაღლითი მაღალჩინოსანი

როგორ გაახვია შარში საწარმოს დირექტორმა საყვარელი

„ქუჩაში რომ ტელეფონის აპარატები იდგა და 2-კაპიკიანით ვრეკავდით, ის პერიოდია. განყოფილებაში ზარი შემოვიდა, მოქალაქე ამბობდა, დამაყაჩაღეს და 14 800 მანეთი წამართვესო. ეს იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო და ამიტომ, მითითებულ ადგილზე ოპერატიული ჯგუფი მალე გავიდა. მისამართზე გვარიანად ნაცემი მამაკაცი დახვდათ, რომელიც თავსა და სხეულზე მიყენებულ ჭრილობებზე მეტად, დაკარგულ თანხაზე ჩიოდა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

როგორც დაზარალებული ამბობდა, ბინის ყიდვა სურდა, ოთხოთახიანის და „ხაზეინმა“ იაფად უშოვა. 14 800 მართლა არ იყო ძვირი ასეთ ბინაში, მაგრამ ყველაფერი ცუდად დამთავრდა. ჯერ ბინის სანახავად მივიდა, მოეწონა, მერე კი უკვე საბუთების გასაფორმებლად წავიდნენ და ყოველი შემთხვევისთვის, ბინის ნახვა კიდევ ერთხელ შესთავაზეს, წყლის გაყვანილობა გაფუჭდა, 200 მანეთს დაგიკლებთო და უცნაური ფასი – 14 800-იც ამიტომ გამოვიდა. აბაზანაში წყლის მილი მართლაც დაზიანებული იყო, 200-ად კი არა, 20 მანეთადაც ნებისმიერი სანტექნიკი გააკთებდა, ამიტომ, მამაკაცი სიხარულით დათანხმდა, თუმცა გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. „ხაზეინს“ გაახსენდა, რომ სასწრაფო საქმე ჰქონდა და წავიდა.

„ჩემი უფროსი საამქროს დირექტორია. წლებია, მისი მძღოლი ვარ, შეიძლება ითქვას, ქუჩიდან ამიყვანა. შემთხვევით გამიცნო, კარგი ვაჟკაცი ყოფილხარო და მერვე წელია, გვერდიდან არ მიშორებს. ბინაც მან მაპოვნინა, 10 ათასი ჩემი ფული იყო, რომელიც სოფელში სახლის გაყიდვით ავიღე, 5 ათასი კიდევ უფროსმა დამიმატა, როცა გექნება, მაშინ მომცემო. ბინას ახალგაზრდა ქალბატონი ყიდდა, ყველაფერზე შევთანხმდით. როცა უფროსს გაახსენდა, რომ საქმე ჰქონდა, მითხრა, აქ დამელოდეო და თავად სამსახურის მანქანით წავიდა. მეუხერხულა ბინაში უცხო ქალთან ერთად გაჩერება, ეზოში ჩავედი და სკამზე ჩამოვჯექი. ამ დროს, ორი ნიღბიანი მომვარდა, თავში რკინის კეტი ჩამარტყა, გრძნობა არ დამიკარგავს, მაგრამ გავბრუვდი. გამჩხრიკეს, გულის ჯიბიდან ფულის შეკვრა ამომაცალეს და გაიქცნენ“, – დაზარალებული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცხარე ცრემლით ტიროდა.

ძალოვნებმა მალე გაარკვიეს, რომ ბინა მოხუც მეცნიერს ეკუთვნოდა, რომელიც ცალკე, ერთოთახიანში ცხოვრობდა, ამ ბინას კი აქირავებდა. ორი თვის წინ, ახალგაზრდა გოგონას მივაქირავე, სამი თვის ფული წინასწარ გადამიხადაო, ამბობდა მეცნიერი და მომხდარზე ისე წუხდა, ლამის, დაზარალებულს აჯობა ტირილში. ახალგაზრდა ქალის კვალი გაქრა და რაც მთავარია, ბინაში ყველაფერი სარეცხი ხსნარით იყო გაწმენდილი ანუ მილიციას ანაბეჭდების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ანაბეჭდებს ვინ ჩივის, ლოგინშიც კი არავინ წოლილა, სავარაუდოდ, გოგო იქ არ რჩებოდა, რაც მეზობლებმაც დაადასტურეს, ეს ახალგაზრდა ქალი ერთხელ გვყავს ნანახი და ახლა ვნახეთ, ორი დღეა, ვიღაც კაცებთან ერთად დადისო. „ვიღაც კაცები“ ბინის მყიდველი და მისი „ხაზეინი“ იყვნენ. რაც შეეხება თავდამსხმელებს, ნიღბიანები კიდევ ორმა მეზობელმა დაინახეს, თუმცა ბევრი ვერაფერი თქვეს, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ორივემ ტერიტორია სირბილით დატოვაო.

ადგილზე მისული საამქროს დირექტორი ლამის გაგიჟდა, სამართალდამცავებს შეუტია, საქმე აუცილებლად უნდა გახსნათ, ჩემს მძღოლს არავის დავაჩაგვრინებ და ზემდგომებთანაც დავრეკავო. მართლაც, დარეკა და გამომძიებლებს უთხრეს, რომ საქმე აუცილებლად უნდა გახსნილიყო, მაგრამ ყველაფერი ისეთ პროფესიონალურ დონეზე იყო გაკეთებული, გამოძიებას ხელმოსაჭიდი არ ჰქონდა. თუ დაადგენდნენ, ვინ იცოდა ფულის გადაცემის შესახებ, შანსი კიდევ იყო, მაგრამ ეს ძაფიც გაწყდა – მძღოლი ამბობდა, მხოლოდ „ხაზეინს“ ვუთხარი, სახლშიც კი არ იცოდნენ, სიურპრიზს ვუმზადებდი ცოლსა და სამ შვილსო და გამოდიოდა, რომ თავდამსხმელები გოგონამ გააფრთხილა.

„ტყუილია, რომ გაუხსნელი საქმე არ არსებობს. თუ პროფესიონალი შეცდომას არ უშვებს და სამხილს არ ტოვებს, მაშინ რთულია, რამე მოიფიქრო. ასეთი შემთხვევა გვქონდა ახლაც. მეზობლებს გოგონას გარეგნობა არ ახსოვდათ ანუ არ იყო ფოტორობოტი და ვინ, ან სად უნდა გვეძებნა? საამქროს დირექტორი, ვისაც იცნობდა და არ იცნობდა, ყველას აწუხებდა, იმასაც ამბობდა, იმ თანხაში ჩემი 5 ათასიც იყოო. მომხდარიდან ორი თვე გავიდა და წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწიეთ. საქმეზე ხელი მქონდა ჩაქნეული“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყველაფერი იქეთკენ მიდიოდა, რომ სამართალდამცავები საქმეს ვერ გახსნიდნენ, მაგრამ მოულოდნელად, განყოფილებაში ერთ-ერთი მეზობელი გამოცხადდა და განაცხადა, რომ გოგონა დაინახა, რომელიც ვიღაცის მანქანაში ჩაჯდა, თუმცა მძღოლი სახეზე არ დაუნახავს, რადგან ცილინდრი ჰქონდა ჩამოფარებული და ვერ გაარჩია. სამაგიეროდ, ძალიან კარგად დაიმახსოვრა ავტომობილის ფერი და ნომერი. რაღა თქმა უნდა, ნომრით ავტომობილის მფლობელის დადგენა პრობლემა არ იყო და საგზაო პოლიციამ ორ საათში მისი ვინაობა გამომძიებლებს უთხრა. თანამშრომლებმა ერთმანეთს გაოცებულებმა გადახედეს – ავტომობილი საამქროს დირექტორის პირადი საკუთრება იყო. რა თქმა უნდა, მისი დაკავება ცხელ გულზე არ შეიძლებოდა, ამიტომ, თვალთვალი დაუწყეს და ზუსტად სამ დღეში, დაზარალებულს იმ გოგონას სურათიც ანახეს. მძღოლი სიხარულით ცას ეწია, კი, სწორედ ეს გოგონააო, მაგრამ გაოცდა, როცა მკაცრად გააფრთხილეს, რომ „ხაზეინისთვის“ არაფერი ეთქვა. საამქროს დირექტორი და გოგო ერთად, ნაქირავებ ბინაში აიყვანეს. საამქროს ხელმძღვანელი პირის დაკავება მაშინ არცთუ იოლი იყო და ამიტომ, გადაწყდა, ჯერ გოგო დაეკითხათ, შემდეგ – დირექტორი. თავიდან გოგონაც ჯიუტობდა, მაგრამ როცა აუხსნეს, სერიოზული სასჯელი გელოდება, ყაჩაღური თავდასხმის თანამონაწილე ხარო, ალაპარაკდა.

„ორი წელია, ამ კაცის საყვარელი ვარ და მპირდებოდა, ბინას გიყიდიო, მაგრამ არ მყიდულობდა. ცოტა ხნის წინ მითხრა, შენი ძმა ხომ ნასამართლევია, კრიმინალი მეგობარი ეყოლება, მე „ნაკოლს“ მოგცემთ და თქვენ 15 ათასს წაიღებთ, საიდანაც 5 ათასს მე დამიბრუნებთ, დანარჩენი თანხით კი ოროთახიანს მარტივად იყიდიო. ასეც მოვიქეცით, მან მითხრა, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა და ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ ჩემმა ძმამ წაღებული ფული არ მომცა, 15-ათასიანად გაქრა. რა უნდა მექნა? ხომ არ ვუჩივლებდი? ჰოდა, იმიტომ ვცხოვრობ ისევ ნაქირავებში“,-განაცხადა გოგონამ დაკითხვაზე.

მისი ჩვენების შემდეგ, საამქროს დირექტორის სიჯიუტემ აზრი დაკარგა და დანაშაული ნაწილობრივ აღიარა, აქაოდა, არ ვიცოდი, თუ ჩემი მძღოლის დაყაჩაღებას აპირებდნენ, მითხრეს, ვალი აქვს და ასე უნდა ამოვიღოთო. ყველაზე ცუდი კი ამ ისტორიაში ის გახლდათ, რომ სასამართლომ მაღალჩინოსნის „ნაწილობრივი აღიარება“ გაიზიარა და მას მხოლოდ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მაშინ, როცა გოგონას 6-წლიანი სასჯელი შეუფარდეს, როგორც ყაჩაღობის ორგანიზატორს.

ძმისა და მისი მეგობრის ანუ ყაჩაღობის უშუალო შემსრულებლების ძებნა ნახევარ წელზე მეტხანს გაგრძელდა და საბოლოოდ, სომხეთში დააკავეს. მძღოლის სამწუხაროდ, ფული მთიანად დახარჯული იყო და მისი ამოღება ვერ მოხერხდა. მართალია, მათ დაზარალებულისთვის თანხის ანაზღაურება დაევალათ, მაგრამ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, არავინ არავის არაფერს უნაზღაურებს... ყაჩაღობაში მონაწილე პირებს 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მძღოლს, რომელიც მთელი ცხოვრება ახალ ბინაზე ოცნებობდა, ამით შეღავათი ნამდვილად არ მიუღია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ოთხი პირი დააკავა, ერთ პირს კი ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი ოთხი პირი დააკავეს, ხოლო ერთ პირს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს.

ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერისთვის დაკავებულები არიან: 1977 წელს დაბადებული ი.ხ. (მეტსახელად, „ხავთასა“), 1983 წელს დაბადებული ზ.გ. (მეტსახელად, „ლეკვი“) და 1976 წელს დაბადებული ლ.ა. (მეტსახელად, „მოლა“).

1978 წელს დაბადებული მ.ჩ. (მეტსახელად, „ხონსკი“) კი „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებითაა დაკავებული.

რაც შეეხება 1977 წელს დაბადებულ ჯ.კ.-ს, ვინაიდან იგი საზღვარგარეთ იმყოფება, მას „კანონიერი ქურდობის“ ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

დანაშაულები 6-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.ხ.-ს, ზ.გ.-სა და ლ.ა.-ს, ფინანსური დავის ნიადაგზე, დაპირისპირება მოუხდათ მ.ჩ.-სთან, რის გამოც აღნიშნული დავის მოგვარება ე.წ. ქურდული გარჩევის გზით სცადეს და მას ფიზიკურად გაუსწორდნენ.

თავის მხრივ, მ.ჩ.-მ მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით, საქმის კურსში ჩააყენა საზღვარგარეთ მყოფი ქართველი „კანონიერი ქურდი“ ჯ.კ. (მეტსახელად, „ჯეირანა“), რომელმაც მოდავე მხარეებს ე.წ. ქურდული გარჩევის მოწყობა მოსთხოვა.

თბილისში, ლ.ა.-ს საცხოვრებელ ბინაში მოეწყო ე.წ. ქურდული გარჩევა, რომელშიც მოდავე მხარეები მონაწილეობდნენ, ხოლო „კანონიერი ქურდი“ ჯ.კ. შეხვედრაში დისტანციურად ჩაერთო.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს და საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერი ქურდს“ უკავშირდებოდნენ.

„კანონიერი ქურდობის“, „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისა და ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პირველი პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ ხანძრის გაჩენის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ა.ლ. ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული სამიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ, თბილისში მდებარე სასტუმრო „ამბასადორის“ ერთ-ერთ ნომერში მყოფმა სტუმარმა გააჩინა ხანძარი, რომელიც გავრცელდა სასტუმროს მესამე და მეოთხე სართულებზე.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე გამოცხადდნენ სამართალდამცველები და მეხანძრე-მაშველები, რომლებმაც დაიწყეს ხანძრის ქრობის სამუშაოები.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, შეხვედრებს განაგრძობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სკოლებში შეხვედრები გრძელდება.

ამჯერად, სამინისტროს წარმომადგენლებმა შეხვედრები თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის 11 სხვადასხვა სკოლაში, ჯამში 700-მდე უფროსკლასელთან გამართეს.

საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრების მიზანია, სკოლის მოსწავლეებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე, არასრულწლოვნების მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების პრევენცია.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ბავშვებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებზე ესაუბრნენ და სხვადასხვა საგზაო ნიშნის დანიშნულება განუმარტეს. მართლწესრიგის ოფიცრებმა კი მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინებისა და მისი ზიანის, ბულინგის, ძალადობის, ორგანიზებული დანაშაულის მიმართულებების – ტრეფიკინგის, კიბერდანაშაულის, „ქურდული“ მენტალიტეტისა და ნარკოდანაშაულის შესახებ.

შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასა და ორგანიზებულ დანაშაულზე გადაღებული ვიდეორგოლები უჩვენეს, შემდეგ კი მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ფაქტებზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული, წარსულში პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის სახდელდადებული, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე და 11 პრიმა 187-ე მუხლებით ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული და ამჟამად განსასჯელი ლ.გ., პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ლ.გ.-მ, მიმდინარე წლის 7-8-9 მარტს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, პოლიციის თანამშრომლებს ესროლა ქვები და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები, რის შედეგადაც დაზიანება მიიღეს სამართალდამცველებმა.

ასევე, ცეცხლი წაუკიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ ავტომობილს. აღნიშნულ ფაქტებზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს.

7-8-9 მარტს მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს მომხდარ ძალადობრივ ქმედებებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება მაშინვე დაიწყო და გრძელდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ყველა იმ პირის დაკავების მიზნით, რომლებმაც განახორციელეს პოლიციელებზე თავდასხმა და სხვა სამართალდარღვევები.

გადაწყდა – კონტრაქტი 2028 წლამდე და 4 მილიონი სეზონში

იტალიურმა, ფრანგულმა და ესპანურმა გამოცემებმა დაწერეს, რომ უახლოეს დღეებში, ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლისთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ამ კონტრაქტით ხვიჩა თავის ბედს ნეაპოლელებს 2028 წლამდე დაუკავშირებს, ბონუსების ჩათვლით კი, მისი წლიური ჯამაგირი ს ეზონში 4 მილიონი ევრო იქნება (მათივე ცნობით, ამჟამინდელი ხელფასი, თვეში 100 ათასი ევროა). დღეისთვის, „ნაპოლის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი ნიგერიელი ვიქტორ ოსიმენი გახლავთ, რომელიც ბონუსების ჩათვლით, 5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

საინტერესოა, რომ მხარეები ახალ კონტრაქტში ხვიჩას გამოსასყიდ თანხას არ ჩაწერენ. რას ნიშნავს ეს? როგორც ევროპული მედია ამტკიცებს, მხარეები უბრალოდ შეთანხმდნენ, რომ კვარაცხელიას ტრანსფერზე საუბარი ნებისმიერ მსურველთან მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ კლუბი, მინიმუმ, 100 მილიონ ევროს გადაიხდის. არადა, ზუსტად ერთი კვირის წინ, ინგლისური მედია ამტკიცებდა, „მანჩესტერ სიტი“ მზად არის, კვარაცხელიას სანაცვლოდ 100 მილიონი გადაიხადოს.

ვინაიდან ხვიჩაზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ გავლენიანმა ბრიტანულმა გამოცემა The Athletic-მა ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით, სიმბოლური ნაკრებები გამოაქვეყნა. ჰოდა, კვარაცხელია არა ევროპულ, არამედ, მსოფლიოს სომბოლურში მოხვდა, ევროპის ნაკრებში კი მის პოზიციაზე... კილიან მბაპე დასახელდა. რაც შეეხება მსოფლიო ნაკრებს, მეკარე: ანდრე ონანა („ინტერი“, იტალია); მცველები: აშრაფ ჰაკიმი („პსჟ“, საფრანგეთი), ედმონდ ტაბსობა („ლევერკუზენი“, გერმანია), კიმ მინ ჯუ („ნაპოლი“, იტალია), ალფონსო დევისი („ბაიერნი“, გერმანია); ნახევარმცველები: კაზემირო („მანჩესტერი“, ინგლისი), ფედერიკო ვალვერდე („რეალი“, ესპანეთი), მოისეს კაისედო („ბრაიტონი“, ინგლისი); თავდამსხმელები: ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ლიონელ მესი („პაჟ“, საფრანგეთი), ვვიქტორ ოსიმენი („ნაპოლი“, იტალია).

ამასთან ერთად, კვარაცხელია იტალიის ჩემპიონატის მარტის თვის საუკეთესო ფეხბურთელად (ზედიზედ – მეორედ, სეზონში – მესამედ) დაასახელეს. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ იტალიაში, ერთ სეზონში, თვის საუკეთესო ფეხბურთელად სამჯერ არასდროს არავინ დაუსახელებიათ და ხვიჩა აბსოლუტური რეკორდსმენია. ამასთან ერთად, სერია A-ს დასრულებამდე კიდევ ორი თვეა და ვინ იცის, ეგებ, კვარამ საკუთარი რეკორდი გააუმჯობესოს.

სოლბაკენი ნორვეგიაში ათრიეს, სანიოლი – თბილისში

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა გამართა და ბათუმში, ნორვეგიასთან ფრედ – 1:1 ითამაშა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ვიკინგებთან გასულ სამ მატჩში, სამი მარცხი გვქონდა, ერთი შეხედვით, ცუდი შედეგი არაა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მატჩამდე ისეთი მოლოდინი იყო, გასაყიდად გამოტანილი ბილეთები 2 საათში გაქრა და მერე სოციალურ ქსელში გადამყიდველები 10-ლარიან ბილეთებს 100 ლარად ყიდდნენ და... ეყიდებოდათ.

ბოლო დროს, ნაკრებს ერთი უცნაური რამ დასჩემდა – მხოლოდ ერთ ტაიმს თამაშობს კარგად, თუმცა პირველს თუ მეორეს, ამას მხოლოდ მატჩის შემდეგ ვიგებთ. ასე იყო ამჯერადაც – უსაშინლესი პირველი ნახევრის შემდეგ, მეორე ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ და ვაღიაროთ, გაგვიმართლა, ნორვეგიელებს მთავარი კაცი, ერლინგ ჰალანდი ტრავმის გამო რომ არ ჰყავდათ, თორემ რა შეცდომებიც პირველ ნახევარში დავუშვით, ჰალანდი ნამდვილად არ გვაპატიებდა. მატჩის მიმოხილვით თავს არ შეგაწყენთ, ფეხბურთს იმდენმა ადამიანმა უყურა, რომ 28 მარტს, თბილისში საცობები არ იყო. აი, მატჩის შემდგომ...

ჩვენი ნაკრების თავკაც ვილი სანიოლს კრიტიკა არ დაჰკლებია. ვინც ერკვეოდა თუ არ ერკვეოდა ფეხბურთში, მატჩის შემდეგ, ყველამ გაიმეტა ერთი-ორი სიტყვა და ფრნგი სპეციალისტი გააკრიტიკა. ბევრი ბრალდება საფუძვლიანი იყო, ბევრიც – უსაფუძვლო. ჩვენ მხოლოდ ერთს ვიტყვით – სანიოლმა სერია-A-ში მოთამაშე ლუკა ლოჩოშვილი არ გამოიძახა, ბოლო დროს, სათამაშო პრაქტიკა არ აქვსო და... სერბული „ცრვენა ზვეზდას“ მცველი ირაკლი აზაროვი, რომელსაც სათამაშო პრაქტიკა ასევე არ აქვს, ძირითადში ათამაშა და რომ არა მეორე ტაიმში მიღებული ტრავმა, აზაროვი მატჩს, ალბათ, ბოლომდე ჩაამთავრებდა. ჰოდა, იტალიისა და სერბეთის ჩემპიონატები რომ შევადაროთ, უფსკრულს მივიღებთ და სანიოლს ეს გადაწყვეტილება არც მატჩის შემდეგ აუხსნია.

კარგ დღეში არც ნორვეგიელთა თავკაცი, სტოლე სოლბაკენი ჩააგდეს. იქაურმა მედიამ მწვრთნელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, ბავშვური შეცდომები დაუშვა მისმა გუნდმაო და... ძალიან ბევრმა სოლბაკენის გადაყენებაც კი მოითხოვა. ცნობისთვის, საქართველომდე ნორვეგიელები ესპანეთს ეთამაშნენ და იქაც დამარცხდნენ, თუმცა იმავე ესპანეთმა, იმავე 28 მარტს, შოტლანდიასთან წააგო ანუ „ფურია როხა“ დაუმარცხებელი არ ყოფილა და სოლბაკენს ესეც შეახსენეს.

აშშ-ის სენატის კანონმა ჯოკოვიჩს ამერიკაში „მწვანე აუნთო“

კორონა-ვირუსის დროს, დონალდ ტრამპმა დაამტკიცა კანონი, რომლის მიხედვითაც, ამერიკაში შესვლის ნებისმიერ მსურველს ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა უნდა ჰქონოდა გაკეთებული. ეს შეზღუდვა ამ დრომდე მოქმედებდა და სწორედ ამიტომ, ამერიკის ღია პირველობაზე ნოვაკ ჯოკოვიჩის თამაში გამოირიცხა. მოგეხსენებათ, სერბი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, ვაქცინის გაკეთებაზე უარს აცხადებს. ჰოდა, რამდენიმე დღის წინ, სენატმა ტრამპის მიერ მიღებული კანონი გააუქმა და დიდი მუზარადის 22-გზის გამარჯვებული ჯოკოვიჩი ამერიკაში ითამაშებს.

ეს ყველაფერი ჩოგბურთის მოყვარულთათვის ძალიან კარგია, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ტურნირი 28 აგვისტოს იწყება, მზადება უკვე დაწყებულია და ამერიკის ქუჩებს, სწორედ ჯოკოვიჩის პლაკატებით ააჭრელებენ. ცნობისთვის, ნოლეს აღნიშნული ტურნირი 2011, 2015 და 2018 წლებში აქვს მოგებული.

ძიუდოისტები მსოფლიოსთვის დაირაზმნენ

7-13 მაისს, ყატარის დედაქალაქ დოჰაში, ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. იმის გათვალისწინებით, რომ გასულ უქმეებზე, თბილისის გრანდ-სლემი დასრულდა და როგორც მასპინძელ ქვეყანას, თითო წონაში, ოთხ-ოთხი ძიუდოისტის დაყენების უფლება გვქონდა ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ნაკრების ხელმძღვანელობას ჰქონდა შესაძლებლობა, ყველა პოტენციური კანდიდატი ენახა და მათ შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო. იმის მიუხედავად, რომ წონის ლიდერები თითქოს გარკვეულია, მაინც არის წონები, სადაც გულშემატკივართა თუ სპეციალისტების აზრი ორადაა გაყოფილი. თუნდაც 90 კილოგრამი ავიღოთ, ნაკრების პირველ ნომრობას ერთმანეთს ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური, ევროპის ჩემპიონი ლუკა მაისურაძე და არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ბექა ღვინიაშვილი ეცილებიან. საბოლოოდ, ისე გადაწყდა, რომ დოჰაში ბექაური და მაისურაძე წავლენ. რაც შეეხება დანარჩენ წონებს:

-60კგ. – გიორგი სარდალაშვილი, -66კგ. – ვაჟა მარგველაშვილი, -73კგ. – ლაშა შავდათუაშვილი, -81კგ. – ტატო გრიგალაშვილი, -90კგ. – ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე, -100კგ. – ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე, +100კგ. – გურამ თუშიშვილი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუსი სპორტსმენები გააბრაზა

რუსეთისა და ბელარუსის ოლიმპიურმა კომიტეტებმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეფობას მიმართეს, ეგებ, კიდევ ერთხელ განიხილოთ და ჩვენს სპორტსმენებს საერთაშრისო დონეზე ასპარეზობის უფლება მისცეთო. სოკ-მაც იმსჯელა და დაადგინა, რომ რუსი და ბელარუსი სპორტსმენები მარტივად შეძლებენ ნებისმიერ ტურნირზე გამოსვლას (გარდა ოლიმპიადისა, რომელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა), თუმცა გარკვეულ იწესების დაცვა მოუწევთ.

მაშ ასე, რუს და ბელარუს სპორტსმენებს ეკრძალებათ სახელმწიფო დროშის ფერებში გადაწყვეტილი ტანისამოსის ჩაცმა, მათ ერთი ფერის სამოსი უნდა ეცვათ და ის აუცილებლად თეთრი უნდა იყოს, ყოველგვარი წარწერისა და აღნიშვნის გარეშე. მათ ეკრძალებათ ჰიმნის სიმღერა, ეკრძალებათ საკუთარი ქვეყნის რამე ატრიბუტიკის ქონა. ამასთან, იგივე წესები უნდა დაიცვან... ტრიბუნაზე მყოფმა ქომაგებმაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქომაგს ტრიბუნას დაატოვებინებენ, სპორტსმენს – დისკვალიფიკაციას მისცემენ. ეს ყველაფერი მხოლოდ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებზე ვრცელდება, რუსეთსა და ბელარუსს გუნდურ შეჯიბრებში მონაწილეობის მიღება კვლავ აკრძალული აქვთ. ასევე, ყველა სპორტსმენტმა, რომელიც საერთაშორისო ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას, უნდა დაგმოს რუსეთის შეჭრა უკრაინაში.

მას შემდეგ, რაც სოკ-ის გადაწყვეტილება განსაჯაროვდა, როგორც რუსმა, ისე ბელარუსმა სპორტსმენებმა განაცხადეს, რომ ეს მათთვის შეურაცხმყოფელია, არ აპირებენ ამ წესებს დაემორჩლონ და ტურნირებზე არ წავლენ.

რა ღირს მწვრთნელის სამუშაო

როგორ გგონიათ, რა თანხას გამოიმუშავებენ მსოფლიოში ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტები? მწვრთნელი პასუხისმგებელია ყველა ფეხბურთელსა და რა თქმა უნდა, შედეგზე. ამიტომ, ისინი საკუთარ შრომას ძვირად აფასებენ და თუ კლუბი ტიტულს მოიგებს, პირველ რიგში, ეს გუნდის თავკაცის ჯამაგირზე ისახება. და მაინც, რამდენს იღებენ დიდი კლუბების მწვრთნელები წლიურად და როგორია ყველაზე მაღალანაზღაურებადი საფეხბურთო სპეციალისტების წლიური ჯამაგირი? ტოპ-ათეული ასე გამოიყურება:

1. დიეგო სიმეონე („ატლეტიკო“, ესპანეთი) – 34 მილიონი ევრო;

2. ხოსეპ გვარდიოლა („მანჩესტერ სიტი“, ინგლისი) – 22.4 მილიონი ევრო;

3. იურგენ კლოპი („ლივერპული“, ინგლისი) – 17.8 მილიონი ევრო;

4. გრემ პოტერი („ჩელსი“, ინგლისი) – 13.5 მილიონი ევრო;

5. მასიმილიანო ალეგრი („იუვენტუსი“, იტალია) – 12.8 მილიონი ევრო;

6. ტომას ტუხელი („ბაიერნი“, გერმანია) – 12 მილიონი ევრო;

7. კარლო ანჩელოტი („რეალი“, ესპანეთი) – 11 მილიონი ევრო;

8. სიმონე ინძაგი („ინტერი“, იტალია) – 10 მილიონი ევრო;

9. ჟოზე მაურინიო („რომა“, იტალია) – 9.2 მილიონი ევრო;

10. ხაბი ალონსო („ლევერკუზენი“, გერმანია) – 5 მილიონი ევრო.

რა საფრთხეს იწვევს წონაში კლებისთვის თვითნებურად მიღებული მედიკამენტები

ია გრიგალაშვილი

თანამედროვე მსოფლიოში ცხოვრების წესის ცვლილებამ ჭარბი წონის მაჩვენებლების ზრდას ხელი შეუწყო – ადამიანები მოიხმარენ უფრო კალორიულ, არაჯანსაღ საკვებს და ეწევიან ნაკლებ ფიზიკურ აქტივობას. სამწუხაროდ, ამას კიდევ უფრო შეუწყო ხელი სილამაზის სტანდარტების პროპაგანდამაც. სიგამხდრის ან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ადამიანები ცდილობენ, სხვადასხვა ხერხს მიმართონ და თუნდაც ექიმის რეკომენდაციის გარეშე, საზიანო მედიკამენტები, ან მავნე დიეტები გამოიყენონ, რაც ხშირად ფატალური შედეგით სრულდება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, ბოლო დროს, საზოგადოებისთვის ცნობილი GLP-1 აგონისტების მედიკამენტების („ოზემპიკი“ და „ვიქტოზა“) თვითნებურად მიღება.

აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების სააგენტომ (FDA) წონაში კლებისთვის დაამტკიცა მედიკამენტები, მაგრამ ისინი მხოლოდ კონკრეტული ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტებისთვისაა განკუთვნილი. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ, საზოგადოების ნაწილმა თვითნებურად გამოყენება დაიწყო. თავისთავად, ამ ინფორმაციამ საქართველომდეც მოაღწია, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანაშიც ბევრი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე, რომელიც ამ მედიკამენტებს თვითნებურად მოიხმარს, დიდი რისკის ქვეშ დგას.

რა დროს ინიშნება GLP-1 აგონისტების მედიკამენტები და რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ორგანიზმს ამ აბების თვითნებურად მიღებამ? – ამის შესახებ „ვერსია“ ენდოკრინოლოგ სალომე ჟვანიას ესაუბრა. მისი თქმით, მსგავს მედიკამენტებს მრავალი უკუჩვენება აქვთ, ამიტომ ექიმის დანიშნულების გარეშე, მათი მიღება კატეგორიულად აკრძალულია:

ზედმეტი კილოგრამების კლება სიცოცხლის ფასად – ინტერვიუ ენდოკრინოლოგ სალომე ჟვანიასთან

– სამწუხაროდ, ქართველებს მარტივად აღფრთოვანება გვჩვევია, მაგრამ ის, რომ ყველაფერს თავისი წესი და ჩვენება აქვს, ნაკლებად გვაინტერესებს. კონკრეტულმა მედიკამენტმა ვიღაცასთან თუ გაამართლა, თუნდაც 100 ადამიანთან, სხვებსაც ჰგონიათ, მათთანაც გაამართლებს, მაგრამ ასე არ არის. ყველა წამალს, რაც კი არსებობს, აქვს ჩვენება, რა დროს უნდა დავნიშოთ, ასევე, უკუჩვენება ანუ რა აქვს პაციენტს ისეთი, რაც ხელს გვიშლის ამ მედიკამენტის დანიშვნაში და გვერდითი ეფექტი. მათ შორისაა, GLP-1 აგონისტები („ოზემპიკი“ და „ვიქტოზა“). ეს მედიკამენტები არ არის ახალი, წლებია, ენდოკრინოლოგიაში ვიყენებთ, რადგან დიაბეტის მქონე პაციენტებში, ერთ-ერთი არჩევითი მედიკამენტია, რომელიც ინიშნება იმ პაციენტთან, ვისაც ნამდვილად სჭირდება და მოერგება. ექიმის გარეშე მათი მიღება კატეგორიულად აკრძალულია!

– სალომე, რა სახის ჩივილების დროს ინიშნება GLP-1 აგონისტების („ოზემპიკი“ და „ვიქტოზა“) მედიკამენტები და რაზე ახდენს გავლენას?

– ეს მედიკამენტები ინექციურია და გამოიყენება დიაბეტის დროს, სისხლში შაქრის დონის სამართავად. ნახშირწყლოვან ცვლაზე ახდენს გავლენას და, ძირითადად, ინიშნება ტიპურ დიაბეტიანებში. წლებია, მათ ვიყენებთ, მაგრამ როგორც იცით, მედიცინა ვითარდება და ყოველწლიურად ახალი კვლევები ქვეყნდება. აშშ-ის სურსათისა და მედიკამენტების სააგენტომ (FDA) დაამტკიცა, რომ ამ მედიკამენტების გამოყენება შესაძლებელია ჭარბწონიანებში, წონის კლების მიზნითაც ანუ აუცილებელი არ არის პაციენტს დიაბეტი სჭირდეს, რომ ეს მედიკამენტები დავუნიშნოთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი დანიშვნა ყველა ჭარბწონიანი პაციენტისთვის შეიძლება. როდესაც ჭარბი წონის დიაგნოზს ვსვამთ, ვითვლით სხეულის მასის ინდექსს, რაც იწყება 25-დან და გრძელდება 45-მდე. ეს საკმაოდ დიდი შუალედია და მასაც თავისი ხარისხები აქვს. არ შეიძლება, 25 და 45 მასის ინდექსის მქონე ორ პაციენტს ერთი და იგივე მკურნალობა დაუნიშნო. თუ უფიქსირდება ჭარბი წონა და თანხმლებად აქვს ჰიპერქოლესტერინემია (მაღალი ქოლესტერინი), ჰიპერტენზია (მაღალი არტერიული წნევა), ან დიაბეტი ანუ ამ სამიდან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს ანალიზებში დადასტურებული, რომ შევძლოთ GLP-1 აგონისტების დანიშვნა.

თუ პაციენტს აქვს დარღვეული ნახშირწყლოვანი ცვლა, მაგალითად, ინსულინ-რეზისტენტობა, აღქმისა და მოხმარების უნარი ორგანიზმს დაქვეითებული აქვს, ეს არის საწყისი ეტაპი, თუ ამას დროულად არ მიხედავს, დიდი შანსია, დიაბეტი ჩამოყალიბდეს, მაგრამ ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ინსულინ-რეზისტენტობაა და გლუკოზა ნორმის ფარგლებშია. ასეთ პაციენტს ვერ დავუნიშნავთ GLP-1 აგონისტებს, რადგან მივიღებთ ჰიპოგლიკემიას ანუ სისხლში შაქრის დონის დაცემას, რაც ძალიან ცუდია. შეიძლება, თავის ტვინში ჟანგბადის მიწოდებაც შეწყდეს და ფატალურ შედეგამდე მიიყვანოს ადამიანი. ვიმეორებ, ექიმის დანიშნულებისა და რეკომენდაციის გარეშე, არცერთი მედიკამენტის მიღება, მით უმეტეს ისეთის, როგორიცაა GLP-1 აგონისტები, კატეგორიულად აკრძალულია!

– რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ორგანიზმს ამ მედიკამენტების თვითნებურად გამოყენებამ?

– ჰიპოგლიკემია, კუჭნაწლავის სხვადასხვა დარღვევა, თავის ტკივილები, უძილობა და ასე შემდეგ, ძალიან ბევრი გვერდითი ეფექტი და უკუჩვენება აქვს. დიდი სიფრთხილით ვეკიდებით ამ მედიაკმენტის დანიშვნას და შემდგომ მიღების პროცესს, ამიტომ თვითნებურად მიღება დაუშვებელია. მით უმეტეს, თუ პაციენტს აქვს სხვა პათოლოგიები ჩამოყალიბებული ანუ თანხმლები დაავადება, ან ასაკი. შეიძლება ადამიანმა არც კი იცოდეს, რომ რამე ფუნქციური დარღვევა აქვს, რადგან ჩვენ არ ვცხოვრობთ იმ სოციალურ გარემოში, სადაც მოქალაქეები გამოკვლევებზე წელიწადში ერთხელ მაინც დადიან. შეიძლება, ორგანიზმში იყოს რაიმე დაავადების საწყისი ეტაპი და ამ მედიკამენტების მიღებამ დაამძიმოს ან დაარჩაროს პროცესი. ყველაზე ცუდი ისაა, რომ თუ ღვიძლი ან თირკმელი დავაზიანეთ, გამოუსწორებელ შედეგს მივიღებთ, მათი ქრონიკული უკმარისობა შეუქცევადია და მთელი ცხოვრება პაციენტს მკურნალობა დასჭირდება. როდესაც ექიმები ამ ჯგუფის მედიკამენტებს ვნიშნავთ, თავიდან ბოლომდე ვიკვლევთ ყველაფერს, ერთი პატარა ცუდი ჩვენებაც თუ გვაქვს, უარს ვამბობთ დანიშვნაზე. ყველა პაციენტი ინდივიდუალურია და ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, რა სახის მკურნალობა სჭირდება.

– რამ გამოიწვია GLP-1 აგონისტების თვითნებურად მიღება?

– ჭარბი წონა დიაგნოზია, სამწუხაროდ, ადამიანების 90%-ს არ სურს გამოიკვლიოს ამის მიზეზი და სხვადასხვა საშუალებით ცდილობს წონაში კლებას, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება მედიკამენტოზური, დიეტოთერაპია თუ ვარჯიში. სხვა ჩივილების დროს, როდესაც რამე აგვტკივდება და მივდივართ ექიმთან, იგივენაირად უნდა მოვიქცეთ ჭარბი წონის შემთხვევაშიც, აუცილებლად უნდა მივიდეთ ენდოკრინოლოგთან, მაგრამ არა ნუტრიციოლოგთან, დიეტოლოგთან ან ფიტნეს-ინსტრუქტორთან. არცერთი სხვა სპეციალისტი არ არის კომპეტენტური დიაგნოზის სრულყოფილად დასმაში, რადგან ენდოკრინოლოგია აერთიანებს ამ ყველაფრის ცოდნას.

თუ გვაქვს ჭარბი წონა, რაც შეიძლება ბევრმა რამემ გამოიწვიოს, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს მიზეზი, ამიტომაა საჭირო დიფერენცირება. იმის მიხედვით, თუ რომელ დარღვევებს მოიაზრებს პაციენტი ჩივილებიდან გამომდინარე, ექიმი ნიშნავს კვლევებს და საბოლოოდ, ანალიზების მონაცემებზე დაყრდნობით, დგინდება, რა ტიპის მკურნალობა სჭირდება პაციენტსა, იქნება ეს მედიკამენტოზური, დიეტოთერაპია, ორივე ერთად, თუ ფიზიკური აქტივობა. შემდეგ კი ხდება შესაბამისი სპეციალისტის ჩართვა, მაგალითად, თუ ფიზიკური აქტივობა დაენიშნება, ვაგზავნით ფიტნეს-ინსტრუქტორთან, რათა სწორად ივარჯიშოს. ჭარბი წონა არ არის ქრონიკული დაავადება, მისგან განკურნება ჩვეულებრივ შესაძლებელია, უბრალოდ, შემდეგ უნდა მოხდეს დაკლებული წონის შენარჩუნება, რაც პაციენტებს ძალიან უჭირთ.

– როგორც ვიცი, ეს მედიკამენტები რეცეპტის გარეშე იყიდება აფთიაქებში, რეგულირებას ხომ არ საჭიროებს ეს საკითხი?

– რეცეპტის გარეშე იყიდება და შავ ბაზარზეც ყველა ქვეყანაში შეიძლება შეძენა, ამის კონტროლი რთულია. რეალურად, რეცეპტი არ სჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ჭარბწონიანმა მოიხმაროს.

– რამდენად ეფექტიანია წონაში კლებისთვის მათთან, რომლებიც მიღების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ?

– GLP-1 აგონისტების მედიკამენტები ნამდვილად ეფექტიანია წონის კლებისთვის, ვისთანაც დაინიშნა, ნამდვილად კარგი შედეგი ჰქონდა, მაგრამ თუ არ არის საჭირო და ისე მიიღებთ, მაშინ ძალიან ცუდ შედეგამდე მიხვალთ. ვინც თვითნებურად იყენებს, დარწმუნებული ვარ, ისიც დაიკლებს, მაგრამ სხვა ორგანოს ისე დაიზიანებს, შეიძლება, შედეგი ვერ გამოასწოროს.

ხშირად ისმის შეკითხვა, თუ როგორ ხდება ჭარბი წონის დამარცხება. პირველ რიგში, თუ ის მოცემულობა არ შეიცვალა, რაც ამ ჭარბ წონას იწვევს, მხოლოდ მოკლევადიანი მკურნალობა ვერ უშველის. თუ კვებითი ქცევა და ფიზიკური აქტივობა არ შეიცვალა და ადამიანი არ გახდა სხვანაირი, ყოველთვის დადგება ამ პრობლემის წინაშე. ექიმი მხოლოდ იმას არ უნდა ცდილობდეს, კონკრეტულ დროში, გარკვეული რაოდენობა დააკლებინოს პაციენტს, ეს თავისთავად მოხდება, მთავარია, ის მავნე ჩვევები, რაც კვებასა და ფიზიკურ აქტივობაში აქვს, შეაცვლევინოს და გააზრებინოს. აუცილებლად, ყველას უნდა ავუხსნათ, რისთვის ენიშნება ნებისმიერი მედიკამენტი, ან სხვა სახის მკურნალობა, რა სარგებელს მოუტანს, რადგან რაც უფრო გააზრებული აქვს პაციენტს, რას და რატომ აკეთებს, მკურნალობა უფრო შედეგიანია.

სიყვარულის საპოვნელად – არდადეგებზე

ჩინეთში ათამდე პროფესიულ-ტექნიკურმა კოლეჯმა სტუდენტები ერთკვირიან საგაზაფხულო არდადეგებზე გაუშვა, რათა ახალგაზრდებმა სიყვარული იპოვონ. სასწავლებლები ამგვარად აპირებენ, ხელი შეუწყონ ქვეყანაში შობადობის დონის ამაღლებას. „დასასვენებლად იმ იმედით ვუშვებთ მოსწავლეებს, რომ შეძლებენ ბუნებით ტკბობას, შეიყვარებენ ცხოვრებას და სიყვარულსაც იპოვნიან“, – აცხადებს ერთ-ერთი სასწავლებლის დეკანი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შობადონის დონე კატასტროფულად იკლებს. ერთი წლის განმავლობაში (2021-2022 წლები), ჩინეთის მოსახლეობა 850 ათასით შემცირდა. ამიტომ, ხელისუფლების დახმარებით, ადგილობრივი კომპანიები, პროვინციები, სოფლები სხვადასხვა მეთოდებით ექსპერიმენტებს ატარებენ, რათა ადამიანებს დაოჯახება აიძულონ. მაგალითად, 30-დღიან „საქორწინო შვებულებას“ სთავაზობენ, ან ქალაქელ ქალებს მოუწოდებდნენ, სოფლებში წავიდნენ და იქაურ ახალგაზრდა მამაკაცებს შეხვდნენ.

სათვალე-შპარგალკა პაემნებისთვის

სამმა სტუდენტმა სტენფორდიდან, შექმნა მოწყობილობა, რომელიც გიკარნახებთ, რა ილაპარაკოთ პაემნებზე, ან გასაუბრებებზე. გარეგნულად ის ჩვეულებრივი ლინზაა, რომელიც შეგიძლიათ, ნებისმიერ სათვალეში ჩასვათ. საიდუმლო კი მასში ჩამონტაჟებულ ნეიროქსელშია, რომელიც ისმენს და აანალიზებს საუბრებს რეალურ დროში და მაშინვე გამოაქვს თვალწინ, მისი აზრით, პასუხის საუკეთესო ვარიანტი. შედეგად, მომხმარებელი უბრალოდ კითხულობს ამ რეპლიკას „ტელესუფლიორიდან“. რამდენად რთული საუბრების წარმოება შეუძლია ნეიროქსელს, უცნობია. ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ასეთი გაჯეტი გამოადგებათ სოციოფობიის მქონე ადამიანებს, ან მათ, რომლებიც ძალიან ღელავენ საჯარო გამოსვლებისას, ან სამსახურში მიღებისას.

სტამბულიდან ლონდონში – ავტობუსით

მსოფლიოში ყველაზე გრძელი მარშრუტი ავტობუსით, სტამბული-ლონდონი, რამდენიმე თვეში გავა თურქეთის უდიდესი ქალაქიდან. მას ინდური სექსპედიციო კომპანია განახორციელებს. ყველაზე გრძელი მარშრუტის სიგრძე 12 ათასი კილომეტრია. ლუქსის კლასის ავტობუსი ევროპის ყველაზე დიდი ქალაქიდან 7 აგვისტოს უნდა გავიდეს, გადალახოს 22 ქვეყნის საზღვარი და დანიშნულების ადგილზე – ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში, 56 დღეში ანუ 1 სექტემბერს უნდა ჩავიდეს. ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში წასვლის მსურველებს აჩქარებას ურჩევენ, რადგან ადგილები შეზღუდულია. მგზავრობის ღირებულება 24 ათას დოლარზე მეტია. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, დღეისთვის, ყველაზე გრძელი საავტობუსო მარშრუტი მსოფლიოში, პერუს დედაქალაქ ლიმასა და ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს აკავშირებს. მათ შორის 6 300-კილომეტრიანი გზაა.

საიუბილეო მონეტა გამოუშვეს

დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანამ, „ჰარი პოტერის“ იუბილის აღსანიშნავად, კიდევ ერთი მონეტა გამოუშვა. ამჯერად, მასზე ჰოგვორსტის მაგიისა და ჯადოქრობის სკოლაა გამოსახული. მონეტა სხვადასხვა ნომინალისაა, ფასი კი მასალის მიხედვით განისაზღვრება – ლითონის მონეტა 11 ფუნტი სტერლინგი, ოქროს მონეტა – 5 215 ფუნტი სტერლინგ ღირს. ამით დასრულდა „პოტერიანას“ მოტივებზე შექმნილი კოლექცია, რომლის გამოშვებაც გასულ წელს, პირველი წიგნის – „ჰარი პოტერისა და ფილოსოფიური ქვა“ პირველი გამოცემიდან 25 წლის იუბილის აღსანიშნავად დაიწყო. „ჰარი პოტერის“ ვარსკვლავი, 33 წლის დენიელ რედკლიფი კი სულ მალე მამა გახდება. რედკლიფი და მისი პარტნიორი, 38 წლის მსახიობი ერინ დარკი პირველ შვილს ელოდებიან. უკვე ათი წელია, წყვილი ერთად ცხოვრობს. მათ ერთმანეთი ფილმის – „დახოცე შენი ძვირფასები“ გადასაღებ მოედანზე გაიცნეს.

მდინარეს რობოტი-ზვიგენი წმენდს

დიდ ბრიტანეთში, მდინარე ტემზას რობოტი-ზვიგენი წმენდს. აპარატი მდინარეში ცოტა ხნის წინ ჩაუშვეს, თუმცა მან უკვე ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. რობოტის შემქმნელების თქმით, „ჭკვიან“ ზვიგენს, დღე-ღამის განმავლობაში, შეუძლია 23 ათასამდე პლასტმასის ბოთლისა და ნახევარ ტონამდე სხვა ნარჩენის შეგროვება. მანქანა ელექტროდენზე მუშაობს და ერთი დამუხტვით, შეუძლია, წყალზე 5 კილომეტრი გაცუროს. მუშაობისას არ ხმაურობს და არ აქვს მავნე გამონაბოლქვი. გარდა ნაგვის შეგროვებისა, მცურავი აპარატი წყლის ხარისხზეც აგროვებს მონაცემებს. რობოტი-ზვიგენი უკვე გაყიდვაშია, მისი ფასი 24 500 დოლარს აღწევს.

ჰონორარს თითო სიტყვაში უხდიან

თითოეულ ნათქვამ სიტყვაში 39 ათასი დოლარი – სწორედ ამხელა ჰონორარი გადაუხადეს პოპულარულ ჰოლივუდელ მსახიობ კიანუ რივზს, ბოევიკ „ჯონ უიკის“ მეოთხე ნაწილში შესრულებული მთავარი როლისთვის. The Wall Street Journal-ის ჟურნალისტებმა დაითვალეს და დაადგინეს, რომ სამსაათიანი ფილმის განმავლობაში, მსახიობმა სულ 380 სიტყვა წარმოთქვა. თანაც, რივზმა მოინდომა, რომ მისი გმირი ნაკლებმოლაპარაკე ყოფილიყო. შედეგად, სცენარისტებმა დიალოგების ნახევარი ამოიღეს და ფილმში მეტი ადგილი „ექშენს“ დაუთმეს. აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში, ფილმი დაქირავებულ მკვლელზე, სალარო შემოსავლებით, პირველ ადგილზეა. თავად კიანუმ ამ როლისთვის 15 მილიონი დოლარი მიიღო.

სუნამო წიგნის სუნის მოყვარულებისთვის

საფრანგეთში ახალი პარფიუმი გამოუშვეს მათთვის, რომლებსაც წიგნების სუნი უყვართ. Diptyque-სთვის შექმნილ არომატში – L'Eau Papier იგრძნობა ქაღალდისა და მელნის სურნელი, ასევე მუშკის, მიმოზას და სეზამის არომატიც. „დაიწყეთ სუფთა ფურცლიდან. ნება მიეცით მელანსა და იდეას ალაპარაკდნენ“, – ამ შთაგონებით იხელმძღვანელა პარფიუმერმა ფაბრის პელეგრინმა, ახალი სუნამოს შექმნისას. სიახლის ფასი 125 დოლარიდან იწყება. სპეციალისტებმა დიდი ხნის წინ შეამჩნიეს, რომ ძველი წიგნების არომატი ბევრი ადამიანისთვის, ვისაც კითხვა უყვარს, ერთ-ერთი საყვარელი სურნელია. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე პარფიუმერებმა საექსპერიმენტოდ სუნამოები მეტროსა და ნესტიანი მიწის არომატითაც წარადგინეს. მიიჩნევენ, რომ ისინიც უჩვეულო არომატების ტოპ-ჩამონათვალში შედიან.

გულის ოპერაცია – დედის საშვილოსნოში

ნიუ-დელის სამედიცინო მეცნიერებათა ინსტიტუტის ქირურგებმა, 28 კვირის ნაყოფს გულის ოპერაცია დედის მუცელშივე გაუკეთეს. ამ სამედიცინო საოცრებას სულ რაღაც წუთნახევარი დასჭირდა. ქირურგიული ჩარევა ემბრიონის ყურძნის მარცვლის ზომის გულზე მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც მისი ერთ-ერთი მთავარი სისხლძარღვის სარქველი დაიბლოკა. ოპერაცია დაბადების შემდეგ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით ჩატარდა. 28 წლის დედას მანამდე სამჯერ მოეშალა მუცელი და განადგურებული იყო, როცა შეიტყო, რომ შესაძლოა, ბავშვს გულის მძიმე დაავადება ჰქონოდა. ამ ფილიგრანული ოპერაციისას, ინდოელმა ქირურგებმა პაწაწინა ნემსით შეძლეს ნაყოფის გულის სარქველის ამუშავება, რის შემდეგაც მას სისხლის ნორმალური მიწოდება აღუდგა. აღსანიშნავია, რომ ორი წლის წინ, მსგავსი ოპერაცია იაპონიაში ჩატარდა – 25 კვირის ნაყოფს აორტის სარქველის სტენოზი დაუდგინდა. ბავშვი 2021 წლის ოქტომბერში დაიბადა და თავს კარგად გრძნობს.

ლუდი ფულისა და პიცისგან

ნორვეგიულმა ლუდსახარშმა Lervig Aktiebryggeri, ქარვისფერი სასმელი მეტად უცნაური ნედლეულისგან – გაყინული ლორიანი პიცისა და ქაღალდის ნამდვილი კუპიურებისგან მოამზადა. ამ ნედლეულმა ფერმენტაცია გაიარა და ქაფქაფა სასმელის საფუძველი გახდა, რომელსაც მწარმოებლებმა Big Ass Money Stout უწოდეს. ახალი ლუდის ავტორების თქმით, სასმელი ნაციონალური კოლორიტის მატარებელია, რადგან ნორვეგიელების ინტერესებსა და გატაცებებს გამოხატავს. ახალ ლუდს დასაყენებლად ერთ-ორი წელი დატოვებენ, შემდეგ კი რეალიზაციისთვის ჩამოასხამენ. წინასწარი შეფასებებით, ის ძლიერი იქნება, შოკოლადისა და ყავის ნოტებით გემოში. მწარმოებლები აპირებენ, პიცისა და ფულის ლუდი ექსპორტზე აშშ-შიც გაიტანონ.

ფორთოხლის წვენი ქალებს ვნებს

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ფორთოხლის წვენი სერიოზულ ზიანს აყენებს სუსტი სქესის წარმომადგენლების ჯანმრთელობას. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ქალებმა არა მხოლოდ მაქსიმალურად უნდა შეამცირონ რაციონში ფორთოხლის წვენი, არამედ, საერთოდაც ამოიღონ. მკვლევარებმა ცოტა ხნის წინანდელი ექსპერიმენტის შედეგები გაამხილეს, რომლის დროსაც დადგინდა კავშირი ამ ციტრუსის წვენის მოხმარებასა და პოდაგრას განვითარებას შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც დღეში ერთ ჭიქა ფორთოხლის წვენს მიირთმევდნენ, პოდაგრის განვითარების რისკი 41%-ით ეზრდებოდათ, ხოლო ისინი, რომლებიც ერთბაშად ორ ჭიქას სვამდნენ, მათთვის ეს რისკი 2.4-ჯერ იზრდებოდა.

ამერიკელები „დავითის“ სანახავად მიიწვიეს

ფლორენციის მერმა და აკადემიის გალერეამ, სადაც მიქელანჯელოს „დავითია“ გამოფენილი, ფლორიდის შტატის ტალაჰასის სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები მის სანახავად მიიწვიეს. სკოლის დირექტორი იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა, რადგან მეექვსე კლასის მოსწავლეებისთის ხელოვნების შედევრის რეპროდუქციის ჩვენება მშობლებმა პორნოგრაფიად ჩათვალეს და იჩივლეს. გალერეის დირექტორის თქმით, ის გაოგნებულია, რადგან მე-16 საუკუნის მარმარილოს ქანდაკება, რომელიც რენესანსის ერთ-ერთი სიმბოლოა, პორნოგრაფიად მონათლეს. სკოლის წარმომადგენლებს ფლორენციაში იწვევენ იმაში დასარწმუნებლად, რომ ბიბლიური დავითის სიშიშვლეში უხამსი არაფერია. სხვათა შორის, ფლორიდის შტატში მოქმედებს კანონი, რომელიც სკოლებში, მეოთხე კლასამდე, სექსუალურ განათლებასა და გენდერული იდენტობის საკითხებზე მსჯელობას კრძალავს.

მოზარდებს ფსიქოლოგების ფულს გადაუხდიან

ახალი ზელანდიის სოციალური განვითარების სამინისტრო ფსიქოლოგების სამუშაოს აანაზღაურებს, რათა დაეხმაროს მოზარდებს, განშორება ადვილად გადაიტანონ და მინიმუმადე დაიყვანონ ნეგატივი ურთიერთობებში. „1 200-ზე მეტმა ახალგაზრდა ადამიანმა მოგვმართა დახმარებისთვის, ადრეულ ასაკში სიყვარულისა და ტკივილის გადატანისთვის“, – განაცხადეს ჩინოვნიკებმა. კამპანია სლოგანით – „მართე გრძნობები“ მიმდინარეობს. გახსნილია სპეციალური ცხელი ხაზი 12-დან 24 წლამდე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც განშორება გადაიტანეს. დამხმარე ორგანიზაციები ამ პროექტის განსახორციელებლად 4 მილიონ დოლარს მიიღებენ.

შთამომავლობა მხოლოდ მამრობითი სქესისგან

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, მსოფლიოში პირველებმა, გამოიყვანეს თაგვი, რომლის ორივე ბიოლოგიური მშობელი მამრობითი სქესისაა. CNN-ის ცნობით, ექსპერიმენტი ოსაკას უნივერსიტეტში, ნობელიანტი მეცნიერის, კაცუკო ჰაასის ხელმძღვანელობით ჩატარდა. მკვლევარებმა ლაბორატორიაში გაზრდილი მამრობითი სქესის თაგვის კუდიდან აიღეს უჯრედები, რომლებიც როგორც X, ასევე Y-ქრომოსომის მატარებელი იყო და ისინი კვერცხუჯრედებად გარდაქმნეს. განაყოფიერებული კი ჩვეულებრივ, მდედრობითი სქესის თაგვის საშვილოსნოში მოათავსეს. მღრღნელმა მალევე ჯანმრთელი შთამომავლობა გააჩინა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ტექნოლოგია მომავალში, ადამიანებში უშვილობის მკურნალობისთვის შეიძლება გამოიყენონ, ან ერთსქესიან წყვილებს შვილების ყოლაში დაეხმარება, რომლებიც გენეტიკურად ორივე მშობელთან იქნებიან დაკავშირებული, თუმცა ეს რთული იქნება. ტექნოლოგიის ყველაზე სავარაუდო გამოყენების სფეროდ სპეციალისტები გადაშენების პირას მყოფი ცხოველების გადარჩენას ასახელებენ.

ტრამპი მემუარებს წერს

აშშ-ის ექს-პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა Newsmax TV-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ამჟამად მემუარების წერითაა დაკავებული. წიგნში მოთხრობილი იქნება, როგორ დაიკავა მან პრეზიდენტის თანამდებობა და როგორც გაატარა ეს წლები თეთრ სახლში. ტრამპის მტკიცებით, მომავალი ნაშრომი მკითხველებისთვის ძალიან საინტერესო იქნება. ყოფილი პრეზიდენტის ინფორმაციით, მის მემუარებზე უფლების მოსაპოვებლად უკვე არაერთი სერიოზული გამომცემლობა იბრძვის. ტრამპს წიგნის დასრულებისა და მისი გამოსვლის სავარაუდო თარიღი არ დაუსახელებია.

სპრეი ვიაგრას ნაცვლად

ავსტრალიელმა სწავლულებმა ბიოკომპანია LTR Pharma-დან, ერექტილური დისფუნქციის სამკურნალოდ ცხვირის სპრეი შექმნეს. ის ათჯერ უფრო სწრაფად მოქმედებს, ვიდრე ვიაგრა. პრეპარატი ფარმაცევტულ ბაზარზე გასაყიდად 2025 წელს გამოვა, თუკი მასშტაბური კვლევები წარმატებული აღმოჩნდება. აღსანიშნავია, რომ ვიაგრა ერექციას სასქესო ორგანოში კუნთოვანი კედლების მოშვების წყალობით იწვევს. ეფექტი პრეპარატის მიღებიდან ერთი საათის შემდეგ დგება. ამის გამო, მამაკაცებს უწევთ, ეს აბი წინასწარ მიიღონ. სპრეი SPONTAN კი საშუალებას იძლევა, მამაკაცი მზად იყოს დაუგეგმავი სექსისთვისაც. პრეპარატი მოქმედებას, მიღებიდან 5-15 წუთში იწყებს.

სელფის საწინააღმდეგო აბებს ყიდიან

ნისლიან ალბიონზე, სელფი-დამოკიდებულების საწინააღმდეგო აბების გაყიდვა დაიწყეს. მას არ აქვს წამლის ეფექტი და მხოლოდ სუნთქვას ასუფთავებს. ის შეიძლება კარგი საჩუქარი აღმოჩნდეს სელფი-დამოკიდებული ადამიანებისთვის. ახალი აბების გასაყიდად სპეციალური საიტიც კი შექმნეს AntiSelfieTabs.com. ახალი „პრეპარატის“ ღირსებებში მითითებულია მისი დაბალი ფასი, უნიკალურობა, სიახლე და მთავარი – მისი ანონიმურად გაგზავნის შესაძლებლობა. ეს „სიამოვნება“ დაახლოებით 10 ფუნტი სტერლინგი (15 დოლარი) ღირს. „წამლის“ ერთ შეკვრაში 36 პიტნის კანფეტია.

სიმსივნეს მალარიით დაამარცხებენ?

მალარიის დახმარებით, შესაძლოა, სიმსივნური დაავადებების დამარცხება, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კოპენჰაგენის უნივერსიტეტის სწავლულები. ეს აღმოჩენა ფეხმძიმეებზე მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინის ცდებისას გაკეთდა. ნახშირწყალი, რომელსაც მალარიის პარაზიტი უერთდება პლაცენტაში, იმ ნახშირწყლის იდენტურია, რომელსაც კიბოს უჯრედები შეიცავს. პლაცენტაში ნახშირწყალი სწრაფ ზრდაზეა პასუხისმგებელი და იწვევს სიმსივნური წარმონაქმნის ზრდასაც. როცა მალარიის პარაზიტი კიბოს უჯრედებს „მიუსიეს“, ის მაშინვე ნახშირწყლისკენ გაემართა. მრავალრიცხოვანმა ტესტებმა აჩვენა, რომ მალარიის ცილისა და ტოქსინის კომბინაციას შეუძლია ყველა ტიპის კიბოს 90%-ს შეუტიოს. ეს თეორია სწავლულებმა უკვე შეამოწმეს ლაბორატორიულ თაგვებზე. შედეგად აღმოჩნდა, რომ ახალი მეთოდით, სიმსივნის ზომა სამი მეოთხედით შემცირდა, ზოგ მღრღნელებში კი ის საერთოდ გაქრა. კლინიკური კვლევების დაწყებას დანიელი მეცნიერები უახლოეს ოთხ წელიწადში აპირებენ.

ფუტკრის კბენამ სქესი შეუცვალა

აშშ-ის ოჰაიოს შტატში მცხოვრებ მამაკაცს ფუტკრის კბენამ ცხოვრება რადიკალურად შეუცვალა. ნაკბენის გამო, ტედ პრონსის სხეულში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საოცარი ცვლილებები მოხდა – ორგანიზმში მკვეთრად დაეცა მამაკაცის ჰორმონის – ტესტოსტერონის დონე, კანი ნაზი გაუხდა, სხეულის ფორმებიც შეეცვალა და შედეგად, ის... ქალად გადაიქცა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ფუტკრის ნაკბენმა იშვიათი გენეტიკური გადახრა – კლიანფელტერის სინდრომი გამოიწვია. ჩვეულებრივ, ეს დაავადება თანდაყოლილია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს ფუტკრის შხამის „დამსახურებაა“. სქესის შეცვლას მამაკაცი დიდად არ დაუღონებია, პირიქით, შესაფერისად ჩაიცვა და სახელიც კი გადაირქვა. ცოლი აცხადებს, რომ კვლავ მის გვერდით იქნება და გაყრას არ აპირებს.

პომიდორი უნაყოფობის წინააღმდეგ

აშშ-ის კლივლენდის კლინიკის სწავლულების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნაერთი ლიკოპინი, რომელიც პომიდორს წითელ ფერს აძლევს, მამაკაცის ფერტილობის მაჩვენებელს ზრდის. აღმოჩნდა, რომ ეს ნაერთი სპერმატოზოიდების რიცხვის 70%-ით ზრდას იწვევს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 100-დან 45 შემთხვევაში, წყვილის უშვილობის მიზეზი სწორედ მამაკაცია. ლიკოპინზე ჩატარებულმა თორმეტმა კვლევამ დაადასტურა, რომ სპერმატოზოიდების რიცხვის გარდა, ნაერთი ზრდის მათი გადაადგილების სიჩქარეს, ამცირებს დაზიანების ხარისხსა და ანომალიური სპერმატოზოიდების რიცხვს. ჯერჯერობით, ლიკოპინის მოქმედების მექანიზმი უცნობია. კვლევის ავტორების თქმით, არის იმის მონაცემებიც, რომ ლიკოპინი მამაკაცის ორგანიზმს პროსტატის დაავადებისგანაც იცავს და კიბოს განვითარებასაც კი ახერხებს.

საკუთარი შვილის ბიძა აღმოჩნდა

34 წლის ამერიკელმა, რომელმაც მამობის დასადგენი ტესტი ჩაიტარა, აღმოაჩინა, რომ საკუთარი შვილისთვის მამა კი არა, ბიძაა. ბავშვის ბიოლოგიური მამა კი მისი ტყუპი ძმაა, რომელიც მკვდარი დაიბადა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ვაშინგტონელმა ცოლ-ქმარმა დნმ-ტესტის გაკეთება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაირკვა, რომ მათი ბიჭის სისხლის ჯგუფი მშობლებისას არ ემთხვევა. ცოლ-ქმარი უშვილობას მკურნალობდა და შვილი ექსტრაკორპორალური განაყოფიერების შედეგად გაუჩნდათ. თუმცა, ტესტმა აჩვენა, რომ სინამდვილეში, ბავშვის მამა მისი ბიძაა – გენები მხოლოდ 10%-ით დაემთხვა. წინა თაობების გამოკვლევის შემდეგ, ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბიჭის მამა ტყუპისცალი ძმაა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ლაპარაკია უიშვიათეს გენეტიკურ ანომალიაზე, რომელსაც „ადამიანურ ქიმერას“ უწოდებენ. ძალიან ხშირად, თუკი მსგავსი „გენების ცვლა“ დედის მუცელში მოხდა, მის შესახებ ვერ იგებენ. ისტორიას ახსოვს დიდი ხნის წინანდელი შემთხვევა, როცა ქალი საკუთარი შვილის ბიოლოგიური დედა კი არა, დეიდა აღმოჩნდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალში, შესაძლოა, მსგავსი შემთხვევები გახშირდეს, რადგან უკვე ფართოდ არის გავრცელებული ხელოვნური განაყოფიერება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.